ფინანსური პოლიტიკა რეიდებით კმაყოფილია A2

კონკურსის საწყისი ეტაპის შედეგები A3

ისფაჰანის ბირთვულ ცენტრში სამუშაოები განახლდება A5

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი სამშაბათი, 2 აგვისტო, 2005 წელი. №174 (1034) ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ნინოწმინდის მოსახლეობა "კანარგო ჯორჯიას" წინააღმდეგ

საგარეჯოს რაიონის გამგეობა, კომპანია "კანარგო ჯორჯიასა" და კომპანია "ალდაგის" ხელმძღვანელობა პოლისების გაფართოების საკითხის განხილვას აპირებენ.

A2

## ამბები

### პასუხისმგებლობის ახალი ვარიანტი

რა უფრო ეფექტურია, სავაჭრო ობიექტები წინასწარ აკონტროლო, რათა უბედურება თავიდან აიცილო, თუ დამნაშავეს პასუხი აგებინო მას შემდეგ, როცა უბედურება მოხდება?

A3

## უცხოეთი

### სუდანის ვიცე-პრეზიდენტი ავიაკატასტროფაში დაიღუპა

სუდანის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ჯონ გარანგი, რომელმაც აღნიშნული თანამდებობა სულ რაღაც სამი კვირის წინ დაიკავა, შაბათს ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ჯონ გარანგი 21 წლის განმავლობაში ქვეყნაში მიმდინარე სამოქალაქო ომში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და სუდანის ჩრდილოეთი რეგიონის აჯანყებული მოსახლეობის ინტერესთა დამცველად გამოდიოდა.

A5

## რევიუ

### ის, რაც ემინემსა და მობის შორის ხდება

მობის ახალი ალბომი – "ჰოტელ" მუსიკოსის სამშობლოში უკვე ძალიან პოპულარულია.
ახლა მობი აზიის დაპყრობას აპირებს და ტურნეს სწორედ ამ მინით აწყობს.

A8

## ამინდი

| | 2/08 | 3 /08 |
|---|---|---|
| თბილისი | 31 | 34 |
| ტყიბული | 28 | 27 |
| სოხუმი | 30 | 29 |
| დმანისი | 24 | 24 |
| გორი | 26 | 27 |
| ონი | 22 | 22 |
| ზუგდიდი | 32 | 31 |
| ახმეტა | 30 | 33 |
| გაგრა | 30 | 28 |
| სამტრედია | 31 | 31 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8125 |
| ევრო | 2.2111 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.1994 |
| რუბლი | 0.0634 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ტენდერი | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# რკინიგზის აღდგენას აფხაზეთში მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

*აფხაზეთში, ისევე როგორც საქართველოში, სამოქალაქო სექტორის რადიკალური ფრთა სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის იდეას უარყოფითად აფასებს. მხოლოდ ოპოზიცია და რიგი პოლიტიკოსები ამ პროექტის რეალიზაციას ეროვნული ინტერესების საფრთხედ მიიჩნევენ.*

პროექტის მოწინააღმდეგეთა შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ერთნი პრობლემას მიმდინარე მოლაპარაკებათა პროცესში ხედავენ, მეორენი კი საერთოდ ამ იდეის გარშემო მოლაპარაკებების წარმოების წინააღმდეგნი არიან. რადიკალური ქართული ფრთის მოსაზრებები, რომელიც მოლაპარაკებათა შეწყვეტას ითხოვს და პროექტის აფხაზი მოწინააღმდეგეების შეხედულება, კარდინალურად განსხვავდება. თუ საქართველოში რეალიზაციის იმის გამო ეშინიათ, რომ ეს აფხაზეთში სერიოზულ ეკონომიკურ აღმასვლას მოიტანს შედეგად და კონფლიქტს სამომავლოდ გაყინავს, აფხაზეთში შიშის საგანი სულ სხვა რამ არის. პროექტის მოწინააღმდეგეებს ეშინიათ იმის, რომ მისი განხორციელება საქართველოსა და აფხაზეთს შორის ეკონომიკურ კავშირს მოაგვარებს, რაც მსოფლიო საზოგადოების მიერ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის არაღიარების პირობებში, ქვეყნისთვის საძირკველშივე წამგებიანი იქნება.

გაგრძელება A3 გვერდზე



*სარკინიგზო გვირაბი სოხუმისკენ.*

# ვოვა არუთინიანი ჩვენებას აღარ იძლევა

*10 მაისის ტერაქტის მცდელობაში, განზრახ მკვლელობასა და იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების უკანონო შენახვაში ბრალდებული ვლადიმერ არუთინიანი ციხის რესპუბლიკურ საავადმოყოფოში, იზოლირებულ პალატაში იმყოფება და გამოძიებასთან თანამშრომლობას კვლავ თავს არიდებს. მას შემდეგ, რაც რესპუბლიკური საავადმყოფოს პალატაში მან შსს-ს პრესსამსახურის ხელმძღვანელს აღიარებითი ინტერვიუ მისცა და განაცხადა, - მე ვესროლე ყუმბარა ბუშს, - არუთინიანი დუმილის უფლებას იყენებს და ჩვენებებს აღარ იძლევა.*

ვოვა არუთინიანის საქმე ჯერჯერობით კვლავ ორ ნაწილადაა გაყოფილი. 10 მაისის ინციდენტზე - ტერაქტის მცდელობის გამო აღძრულ საქმეს შსს-ს კონტრდაზვერვის სამსახური იძიებს, ხოლო კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსის ზურაბ ქვლივიძის მკვლელობის ფაქტზე აღძრულ საქმეს - შსს-ს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამსახური. მართალია, არუთინიანს ბრალი ორივე ეპიზოდში წაუყენეს და წესით, ორი საქმე ერთ საქმედ უნდა გაერთიანებულიყო, მაგრამ აქამდე ასე არ მოხდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!

ნიკა თარაშვილი

*საუდის არაბეთში გლოვაა. ორშაბათს დილით ცნობილი გახდა, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 84 წლის ასაკში გარდაიცვალა ქვეყნის მონარქი ფაჰდ აბდელაზიზ ას-საუდი. ათი წლის წინ მიღებული ინსულტის შემდეგ, მართალია, საუდეველი მონარქი მთლიანად იყო ჩამოშორებული მმართველობას და, ფაქტობრივად, ქვეყანას კრონ-პრინცი აბდულა ხელმძღვანელობდა, მაგრამ არაბულ სამყაროში აშშ-ს მოკავშირედ ცნობილი მეფე ფაჰდის გარდაცვალება, უდავოდ, დიდი მოვლენა იყო ახლო აღმოსავლურ პოლიტიკაში. გუშინვე საუდის არაბეთის ახალ მონარქად ფაჰდის ნახევარძმა, პრინცი აბდულა გამოცხადდა.*

გაგრძელება A5 გვერდზე



*ფაჰდ აბდელაზიზ ას-საუდი აშშ-ს ყველაზე ერთგულ მოკავშირედ მიიჩნეოდა არაბულ სამყაროში.*

# შვედეთის პრემიერი მზადაა, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებაში დაეხმაროს

მიხეილ სააკაშვილი შვედეთში, დემოკრატიის განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის საკითხებისადმი მიძღვნილ, ტალბერგის საერთაშორისო ფორუმზე სიტყვით გამოვიდა და თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს როლზე, რუსეთთან ურთიერთობაზე, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანებისკენ სწრაფვასა და საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე ოცი წუთის განმავლობაში ისაუბრა.

საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობა ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრმა იან ბალკენენდემაც მიიღო. გუშინვე, კონფერენციის გახსნამდე, მიხეილ სააკაშვილი შვედეთის პრემიერ-მინისტრ იორან პერსონს მის საზაფხულო რეზიდენციაში შეხვდა. შვედეთის მთავრობის ხელმძღვანელი საქართველოს ევროკავშირში გასაწევრიანებლად დახმარებასა და თანადგომას დაჰპირდა. **"შვედეთი ევროკავშირის ახალი წევრებით გამდიდრების მომხრეა. ჩვენ მზად ვართ, საქართველოს ამ კუთხით დავეხმაროთ,"** – განაცხადა შვედეთის პირველმა პირმა.

თავის მხრივ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა საქართველოში არსებულ კონფლიქტებზე ისაუბრა და ამ კონფლიქტების მოგვარებაში რუსეთის მნიშვნელოვან როლს ხაზი გაუსვა.

სააკაშვილის თქმით, რუსეთი უნდა მიხვდეს, რომ ერთიანი და სტაბილური საქართველოს არსებობა რუსეთის ინტერესებშიც შედის. **"ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შესანარჩუნებლად. მიმაჩნია, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ვაჟკაცურად მოიქცა, როცა საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის გადაწყვეტილება მიიღო. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაშიც ჩვენ რუსეთის, ევროკავშირის და აშშ-ს თანადგომის და დახმარების იმედი გვაქვს,"** – აღნიშნა სააკაშვილმა შვედეთის პრემიერ-მინისტრთან პირისპირ შეხვედრისას.

მიხეილ სააკაშვილი თბილისში, სავარაუდოდ, დღეს დაბრუნდება.

*24 საათი*

# რომან გოცირიძემ რუსეთის წარმომადგენლის დანიშვნა გააპროტესტა

ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ "შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის" (BSTDB) ხელმძღვანელად რუსეთის წარმომადგენლის დანიშვნა გააპროტესტა. საბერძნეთის ქალაქ სალონიკში დასრულდა ბანკის მმართველთა საბჭოს სამიტი, სადაც გადაწყდა, რომ "შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკს" 2010 წლამდე თურქეთის წარმომადგენელი, ხოლო 2010-2014 წლებში - რუსეთის წარმომადგენელი უხელმძღვანელებს.

"შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის" ხელმძღვანელთა არჩევის პროცედურის მიხედვით, ბანკის მმართველთა საბჭომ ჯერ ბანკის აქციონერი ქვეყანა უნდა აირჩიოს, რომლის წარმომადგენელიც განსაზღვრული ვადით საბჭოს პრეზიდენტის მოვალეობას შეასრულებს. პროცედურის მიხედვით, კონკრეტული კანდიდატურის ვინაობა მხოლოდ სამი თვის შემდეგ უნდა დასახელდეს. სალონიკის სამიტზე ბანკის მმართველთა საბჭოს პრეზიდენტის თანამდებობისთვის პრეტენზიას ორი ქვეყანა - რუსეთი და თურქეთი აცხადებდა. სამიტზე მიღწეული კომპრომისული გადაწყვეტილებით, 2006-2010 წლებში ბანკის მმართველთა საბჭოს - თურქეთის, 2010-2014 წლებში კი რუსეთის წარმომადგენელი უხელმძღვანელებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ, რომელიც სამიტის მუშაობაში მონაწილეობდა, საერთაშორისო პრაქტიკაში ამ ნაკლებად მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ მისცა ხმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ამერიკული სამხედრო გემი ფოთში

ქეთინო ჯაკობია
*ფოთიდან*

გიშინ ფოთის სამხედრო პორტში, სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების სადესანტო ხომალდი "ნეშვილი" შემოვიდა. ვიზიტის პროგრამა თეორიული სამხედრო წვრთნების, ქართველი კოლეგებისთვის სპეციალური ტრენინგების ჩატარებას ითვალისწინებს.

**"ჩვენთვის სასიამოვნოა საქართველოში სტუმრობა. ხომალდი 35 წლისაა, მაგრამ 450 სამხედრო პირისაგან შემდგარი ეკიპაჟის საშუალო ასაკი 20 წელია. მეზღვაურები მე-3 თვეა, ზღვაში იმყოფებიან. ჩვენ ქვეყნის მოქალაქეების სიმშვიდისა და უსაფრთხოების დაცვის საქმეში მიღებული გამოცდილება გვინდა გაგიზიაროთ. ვიზიტის ძირითადი მიზანია, ჩავატაროთ ტრენინგები ე.წ. დაზიანების კონტროლში, რაც გულისხმობს, მაგალითად, გემზე ხანძრის გაჩენის, ან წყლის შემოსვლისას როგორ უნდა იმოქმედოს ეკიპაჟმა,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ხომალდ "ნეშვილის" მეთაურმა, I რანგის კაპიტანმა დევიდ ოტისონმა.

დიდი მოცულობის გამო, ხომალდი აკვატორიაში დარჩა. სპეციალური კატარღით ნაპირზე გადმოსულ გემის ხელმძღვანელობას ახლდა ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, მაილსმა თავისი შრომითი საქმიანობა მეზღვაურობიდან დაიწყო, ამდენად, თავადვე სიმბოლურად აღიქვა საქართველოში ელჩად ყოფნის ბოლო დღეებში ამერიკული გემის სტუმრობა.

**"მოხარული ვარ, რომ საკმაოდ დიდი პაუზის შემდეგ საქართველოში კვლავ შემოვიდა ამერიკული სამხედრო ხომალდი. სასიამოვნოა, რომ თქვენს ქვეყანაში ჩემი კარიერის დასასრულს, გემის კაპიტანთან, მეზღვაურებთან შეხვედრის შესაძლებლობა მომეცა. მათი განწყობა შესანიშნავია. მიუხედავად იმისა, რომ გემი 35 წლისაა, იგი ახალივით გამოიყურება,"** - აღნიშნა რიჩარდ მაილსმა.

გუშინვე გაიმართა შეხვედრები სამხედრო-საზღვაო შტაბის სარდლობასა და ქალაქის ხელმძღვანელობასთან.

პროტოკოლით გათვალისწინებული ოფიციალური მიღების გარდა, ამერიკელმა და ქართველმა სამხედროებმა საუბარი დახურულ კარებს მიღმა ამჯობინეს.

## ფინანსური პოლიცია რეიდებით კმაყოფილია

მესამე დღეა, ფინანსური პოლიცია, თბილისში რეალიზაციაში გასული უაქციზო სიგარეტის აღმოსაჩენად, სპეციალურ რეიდებს ატარებს. რეიდში, ფინანსურ პოლიციასთან ერთად, მონაწილეობენ ფინანსთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები.

სამი დღის მანძილზე ჩატარებულმა ამ ღონისძიებამ გაამართლა - თუკი პირველ დღეებში 60-მდე უაქციზო სიგარეტით მოვაჭრე გამოვლინდა, მესამე დღეს, მათი რიცხვი საგრძნობლად შემცირდა და მხოლოდ რამდენიმე წვრილ მოვაჭრემდე დავიდა.

როგორც რეიდებმა უჩვენა, უაქციზო სიგარეტით, ძირითადად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ვაჭრობენ - მეტროს სადგურებსა და ბაზრობებზე. "თუკი დაფიქსირდება, რომ ჩვეულებრივ მაღაზიაში უაქციზო სიგარეტი იყიდება, გპირდებით, რომ ის მაღაზია დაილუქება და მანამდე იქნება დახურული, სანამ იქ დოკუმენტური რევიზია არ დასრულდება. თუმცა, ასეთი ფაქტი, ჯერჯერობით, არ დაფიქსირებულა," - აცხადებს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსი გოჩა ჭელიძე.

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, უაქციზო სიგარეტის ამოსაღებად ჩატარებული რეიდით აქციზიანი სიგარეტით ლეგალურად მოვაჭრეებიც კმაყოფილები არიან. როგორც ისინი აცხადებენ, აქციზიანი სიგარეტის რეალიზაციის მოცულობა გაიზარდა.

რეიდების შედეგად გამოვლენილ სამართალდამრღვევებზე შედგა ოქმები. დამნაშავეები სასამართლოს წინაშე წარდგებიან.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ყაჩაღურ თავდასხმებში ეჭვმიტანილები დააკავეს

ფოთში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად სამართალდამცველებმა ყაჩაღურ თავდასხმებში ეჭვმიტანილი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს.

შვიდკაციანი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს ძებნილი პაატა სესხურია ხელმძღვანელობდა.

როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა მერაბ გერგაიამ განაცხადა, აღნიშნული ჯგუფის წევრები სამეგრელოსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მოქმედებდნენ. ისინი დანაშაულის ჩადენის დროს განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ. დაკავებულთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უკვე აღიძრა. მიმდინარეობს გამოძიება.

ყაჩალური დაჯგუფების ხუთი წევრი დააკავეს იმერეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმაც. პოლიციის განმარტებით, დაკავებულები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარ რამდენიმე ყაჩაღურ თავდასხმაში არიან ეჭვმიტანილები.

როგორც პოლიცია აცხადებს, მტკიცებულებები მოპოვებულია. დაკავებულთაგან ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღები.

*24 საათი*

## საქართველოს მოქალაქეობა წელს უცხო ქვეყნის 521-მა მოქალაქემ მიიღო

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეობა მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით უცხო ქვეყნის 521-მა მოქალაქემ მიიღო.

მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტში ამჟამად საქართველოს მოქალაქეობის მსურველთა 100-მდე უცხო ქვეყნის მოქალაქის განცხადება იხილება.

ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების უფლება საქართველოს პრეზიდენტს 2004 წლის 9 სექტემბრიდან გააჩნია. ამ დროიდან ძალაში შევიდა დებულება, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეს ორმაგი მოქალაქეობის შესაძლებლობას აძლევს. ასეთი სტატუსის მიღების მსურველნი პრეზიდენტის ადმინისტრაციას მიმართავენ.

2004 წლის 9 სექტემბრიდან ამავე წლის ბოლომდე ორმაგი მოქალაქეობა 47-მა მოქალაქემ მიიღო, მათ შორის არიან სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი, ჟურნალისტი ჯანრი კაშია, ზურაბ სოტკილავა, ნინო ანანიაშვილი, ნოე ჟორდანიას შთამომავალი რეჯებ ჟორდანია, ესპანეთში მცხოვრები ბაგრატიონ-მუხრანელები და სხვა.

*ინტერპრესნიუსი*

## ფოთში ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი ქალი დააკავეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი ქალი დააკავეს. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ეჭვმიტანილ ხათუნა აქუბარდიას დაკავებისას 10 პაკეტად დაფასოებული ჰეროინი აღმოუჩინეს, მისი ბინის ჩხრეკისას კი 20 პაკეტი ამოიღეს. ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერების ზუსტ წონას ექსპერტიზა დაადგენს.

მოქმედი კანონის შესაბამისად, აღნიშნული დანაშაული მაქსიმალურ სასჯელს – 25 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს.

*ინტერპრესნიუსი*

## პატიმარი გაქცევის მცდელობისას დააკავეს

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის პირველ დაწესებულებაში პატიმარი გიორგი ნიავაძე გაქცევის მცდელობისას დააკავეს.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ნიავაძე გამთენიისას, აკრძალულ, ე.წ. საკვალე ზოლში გადახტა და მთავარი დამცავი კედლის მიმართულებით ფორთხვით მიდიოდა. პატიმარი გუშაგმა შენიშნა და გამაფრთხილებელი გასროლა გააკეთა, რის შემდეგაც გაქცევის მსურველმა მოძრაობა შეწყვიტა.

გიორგი ნიავაძე 22 წლისაა. იგი 2004 წელს ქურდობის ბრალდებით დააკავეს და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. საპატიმროდან გაქცევის მცდელობის გამო მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

*პრაიმ-ნიუსი*

# რომან გოცირიძემ რუსეთის წარმომადგენლის დანიშვნა გააპროტესტა

პირველი გვერდიდან

**„ასეთი სახის გადაწყვეტილებებს, ძირითადად, ბანკის მსხვილი აქციონერები - თურქეთი, რუსეთი და საბერძნეთი წყვეტენ. ჩვენი სურვილია, რომ "შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის" წვრილი აქციონერები მხოლოდ მეთვალყურის სტატუსით არ შემოიფარგლონ,"** - განაცხადა გოცირიძემ.

ბანკის მმართველთა საბჭოს პრეზიდენტის ვინაობა ნოემბერში გახდება ცნობილი. მის ასარჩევად აღნიშნული საფინანსო ორგანიზაციის ხელმძღვანელები უკვე ბაქოში შეიკრიბებიან. **"ბანკის მმართველთა საბჭოს პრეზიდენტის პოსტზე მხარს თურქეთის წარმომადგენელს დავუჭერ. ჩემთვის მიუღებელია ბანკის მმართველთა საბჭოს პრეზიდენტის არჩევის ისეთი წესი, რომლის მიხედვითაც ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის ვინაობა ოთხი წლით ადრე ხდება ცნობილი. ეს კურიოზული სიტუაციაა,"** - განაცხადა სამიტზე გამოსვლისას გოცირიძემ, რომელსაც ბულგარეთის წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ.



"შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის" სტრუქტურაში ყველაზე მსხვილი აქციონერებია - თურქეთი, რუსეთი და საბერძნეთი, თითოეული ფლობს აქციების 16,5 პროცენტს, ბულგარეთი, რუმინეთი და უკრაინა - 13,5-13,5 პროცენტს, ალბანეთი და აზერბაიჯანი - 2-2 პროცენტს, ხოლო საქართველო, სომხეთი და მოლდოვა კი, თითოეული 1 პროცენტის რაოდენობის აქციებს განკარგავს. "შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის" საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია 1 მლრდ SDR -ის (SDR – ნასესხობის სპეციალური უფლება) ოდენობით. 2004 წელს საქართველოს წილი ბანკის სააქციო კაპიტალში, სოლიდური დავალიანების გამო, 2 პროცენტიდან 1 პროცენტამდე შემცირდა.

"შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი" ბისეკ-ის (შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია) წევრი სახელმწიფოებისთვის ფინანსური სიძნელეების შემსუბუქების მიზნით ჩამოყალიბდა. მისი შტაბ-ბინა საბერძნეთის ქალაქ სალონიკში მდებარეობს. ხელშეკრულებას ბანკის დაფუძნების შესახებ თბილისში, ბისეკ-ის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მოეწერა ხელი 1994 წლის 30 ივნისს, ხოლო მისი რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა 1996 წლის 25 დეკემბერს მოახდინა.

შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკმა ჩამოყალიბების საორგანიზაციო და სამართლებრივი სტადიების გავლის შემდეგ, 1999 წლის 1 ივნისიდან, ფინანსური ოპერაციების წარმოება დაიწყო. შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკმა სს „საქართველოს ბანკს", სს „თიბისი ბანკს", სს „გაერთიანებულ ქართულ ბანკსა" და სს „პროკრედიტბანკს" 13,5 მლნ აშშ დოლარის საკრედიტო ხაზები გაუხსნა. გარდა ამისა, იგი ახორციელებს საქართველოში ექსპორტის განვითარების სადაზღვევო-საკრედიტო სააგენტოსა და ფოთის ნავთობტერმინალის რეკონსტრუქციის პროექტებს, რომელთა ღირებულების საერთო მოცულობა 8 მლნ აშშ დოლარზე მეტია.

*24 საათი*

# ნინოწმინდის მოსახლეობა "კანარგო ჯორჯიას" წინააღმდეგ

საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდის მოსახლეობამ ნავთობმწარმოებელი კომპანია "კანარგო ჯორჯიას" წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. სოფელ ნინოწმიდაში "კანარგო ჯორჯიას" მიერ ჩატარებული სამუშაოების დროს ერთ-ერთი ჭაბურღილიდან ნავთობმა ამოხეთქა, რამაც სოფლის სასმელი წყლით მომმარაგებელი სათავენაგებობა დააზიანა. ამის შემდეგ ნინოწმინდელები ჯანმრთელობის გაუარესებას უჩივიან. კომპანია "კანარგო ჯორჯიას" ხელმძღვანელობამ სოფლის მოსახლეობას სადაზღვევო კომპანია "ალდაგის" ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისები დაურიგა. მოსახლეობა აცხადებს, რომ აღნიშნული პოლისები მხოლოდ ლაბორატორიულ კვლევას ითვალისწინებს, რაც არ არის საკმარისი. ისინი პოლისების ფუნქციების გაზრდას მოითხოვენ.

საგარეჯოს რაიონის გამგეობა, კომპანია "კანარგო ჯორჯიასა" და კომპანია "ალდაგის" ხელმძღვანელობა პოლისების გაფართოების საკითხის განხილვას აპირებდნენ, თუმცა ნინოწმინდელებმა თბილისის საოლქო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და "კანარგო ჯორჯიას" ხელმძღვანელობისაგან კომპენსაციის სახით 28 მილიონ ლარს ითხოვენ.

# ვიზიტი პოლონეთში

1 აგვისტოს პოლონეთში საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ხუთდღიანი ოფიციალური ვიზიტი დაიწყო. ორი ქვეყნის ეროვნული ბანკების პრეზიდენტების - ლეშეკ ბალცეროვიჩისა და რომან გოცირიძის პირისპირ შეხვედრა 2 აგვისტოს გაიმართება.

ვიზიტის ფარგლებში პოლონეთის ეროვნული ბანკის ორგანიზებით გამართულ სემინარზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი წარდგება მოხსენებით - "საქართველო: ეკონომიკური ცვლილებები და პერსპექტივები "ვარდების რევოლუციის" შემდეგ".

სემინარს, რომელსაც პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ლეშეკ ბალცეროვიჩი გახსნის, პოლონეთის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი პირები, კომერციული ბანკების მმართველები, მეცნიერები, პოლონური ბიზნესისა და პრესის წარმომადგენლები დაესწრებიან.

*24 საათი*




### მოკლედ

## წელს საქართველოში 280 ათასი ტონა ყურძნის მოსავალს ელიან

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, წელს საქართველოში 280 ათასი ტონა ყურძნის მოსავალს ელიან, რაც 2004 წლის მაჩვენებელზე 100 ათასი ტონით მეტია.

სამინისტროს ექსპერტთა პროგნოზით, ასეთი მოსავლის პირობებში ნატურალური ღვინის წარმოება 26 მლნ. ბოთლიდან 50 მლნ. ბოთლამდე გაიზრდება. მიუხედავად იმისა, რომ მოსავალი ასეთი უხვი იქნება, მოსახლეობისგან ყურძნის შესაძენად სახელმწიფო სუბსიდიას აღარ გამოყოფს.

**"ეს არის გლეხსა და კერძო კომპანიებს შორის მოსაგვარებელი საკითხი. სახელმწიფო ყურძნის შესყიდვისთვის ღვინის ქარხნების სუბსიდირებას არ აპირებს,"** - განუცხადეს "მედიანიუსს" სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

ექსპერტთა შეფასებით, გლეხებს ყურძნის რეალიზაციაში პრობლემები წელსაც შეექმნებათ, რადგან შარშან ღვინის ქარხნებმა გლეხებს ყურძნის შესყიდვაზე, ფაქტობრივად, უარი უთხრეს. ბოლოს ამ პროცესში სახელმწიფო ჩაერია და ღვინის ქარხნებს სუბსიდია მაინც გამოუყო. თუმცა, ზოგიერთი მეწარმის აზრით, ეს პრობლემა მაინც თავად მევენახეებმა და ღვინის ქარხნებმა უნდა გადაწყვიტონ.

*მედია-ნიუსი*

## "საქგაზისა" და "რუსთავცემენტის" საქმეს ხელმეორედ განიხილავენ

"საქგაზი" "რუსთავცემენტს" 5 მილიონ ლარს ედავება და სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გადაწყვეტილების შეცვლას აპროტესტებს.

როგორც "ინტერპრესნიუსს" "საქგაზში" განუცხადეს, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა "საქგაზის" სასარგებლოდ გადაწყვეტილება 30 ივლისს გამოიტანა და "რუსთავცემენტს" 5 მილიონი ლარის გადახდის ვალდებულება დააკისრა.

"ჩვენთვის მოულოდნელად ტრიბუნალმა გადაწყვეტილება შეცვალა და დღეს საქმის ხელმეორე განხილვა დანიშნა," - განაცხადეს "საქგაზში", სადაც მიიჩნევენ, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილების შეცვლა საქმეში პარლამენტარ დავით ბეჟუაშვილის ჩარევამ გამოიწვია.

"სასამართლოზე ზეწოლა განხორციელდა, რადგან "რუსთავცემენტი" დავით ბეჟუაშვილის ლობირებით სარგებლობს," - აღნიშნავენ "საქგაზში".

*პრაიმ-ნიუსი*

## "ჭიათურმანგანუმის" კრედიტორთა ჯგუფი კომპენსაციებს უშედეგოდ მოითხოვს

"ჭიათურმანგანუმის" კრედიტორთა ჯგუფი, ფულადი კომპენსაციის მოთხოვნით, სახელმწიფო კანცელარიასთან ერთი კვირაა საპროტესტო აქციას მართავს.

როგორც აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, სს "ჭიათურმანგანუმი", დაზიანებული ბინების სანაცვლოდ, ფულადი კომპენსაციების გაცემისგან თავს იკავებს.

აქციის მონაწილეებმა ხუთშაბათს წერილობით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს, გამოხმაურება კი მათი მხრიდან არ ყოფილა. დაზარალებულები სახელმწიფოსგან 2 300 000 ლარს ითხოვენ. აქციის მონაწილეები სამშაბათს რუსეთის საელჩოსთან გადანაცვლებას და რუსეთის მოქალაქეობის მიღების მოთხოვნით აქციის გაგრძელებას აპირებენ.

*პრაიმ-ნიუსი*

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ვოვა არუთინიანი ჩვენებას აღარ იძლევა

პირველი გვერდიდან

სამართალდამცველთა განცხადებით, კონტრდაზვერვის სამსახური სხვადასხვა დეტალებს აზუსტებდა და საქმეების გაერთიანების საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, არუთინიანის დაკავებას წინ უძღოდა არა ერთი საგამოძიებო მოქმედება.

დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, შედგა პირველადი სქემა და მოიძიეს თითქმის ყველა თვითმხილველი. განისაზღვრა ხელყუმბარის სროლის ტრაექტორია, დაცემის ადგილი და გადმოსროლის სავარაუდო წერტილი;

დაინიშნა კომპლექსური დაქტილოსკოპიური და ბალისტიკური ექსპერტიზა, რომლის მიხედვითაც დადგინდა ხელყუმბარის ვარგისიანობა და განისაზღვრა მიზეზები, თუ რატომ არ აფეთქდა ყუმბარა;

ცხვირსახოციდან, რომელშიც გახვეული იყო ხელყუმბარა, აღებულ იქნა დნმ-ისა და სუნის სინჯები;

დაიკითხნენ ის სამართალდამცველები, რომლებიც სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდნენ თავისუფლების მოედანზე;

დადგინდა და გამოიკითხა ყველა ის პირი, რომელიც სპეციალური საშვით იმყოფებოდა თავისუფლების მოედანზე, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც. განისაზღვრა იმ პირთა კატეგორია, რომლებიც მოსაწვევის გარეშე იმყოფებოდნენ აღნიშნულ ადგილზე;

სასამართლოს ბრძანებით ამოღებულ იქნა ფოტო და ვიდეომასალა ყველა ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიებისაგან, ასევე, აკრედიტებული ჟურნალისტებისა და თავისუფლების მოედანზე მყოფი პირებისაგან;

გატარებული ღონისძიებების შედეგად დადგინდა ხელყუმბარის გადაგდების ზუსტი დრო: 13 საათი და 27 წუთი - ბუშის გამოსვლის დაწყებიდან 2.5 წუთი;

ღონისძიების მსვლელობისას დადგინდა და დაიკითხნენ მოქალაქეები, რომლებიც იმყოფებოდნენ იმ ადგილის სიახლოვეს, საიდანაც ხელყუმბარა ისროლეს. მათი ჩვენებებით დადგინდა ეჭვმიტანილის აღწერილობა და შედგა ფოტორობოტი;

18 საეჭვო პირისაგან აღებული იქნა სუნისა და დნმ-ის ანალიზები;

დადგინდა იმ პირთა მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც იმყოფებოდნენ ხელყუმბარის გადასროლის სავარაუდო ადგილის სიახლოვეს. პოლონელი ჟურნალისტის ფოტოს მოპოვების შემდეგ მოხდა მისი იდენტიფიცირება და სწორედ მის მიერ 10 მაისს გადაღებულ სურათებს შორის აღმოჩნდა ეჭვმიტანილის ფოტო.

ეჭვმიტანილის მონაცემების დადგენის მიზნით გადაისინჯა მონაცემთა ყველა ბაზა, მათ შორის სურათებიც;

მოწმის სახით დაიკითხა 42 პირი, გამოიკითხა 10 ათასზე მეტი პირი და სხვადასხვა მონაცემთა ბაზაში დათვალიერდა 900 ათასზე მეტი ფოტო.

ეს ის სამუშაოები გახლავთ, რომლის ჩატარების შემდეგაც "ტერორისტის კვალმა" სამართალდამცველები ვოვა არუთინიანამდე მიიყვანა.

"არუთინიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია," – განაცხადა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ შოთა კოპაძემ. მისივე თქმით, ბრალდებულის უსაფრთხოება მაქსიმალურადაა დაცული.

*24 საათი*



*არუთინიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.*

## კონკურსის საწყისი ეტაპის შედეგები

*თბილისის მერია-საკრებულოს მოსამსახურეთა 672 ვაკანსიაზე განცხადებების შეტანა 31 ივლისს 18 საათზე დასრულდა. განცხადებების რაოდენობამ სავარაუდო რიცხვს ბევრად გადააჭარბა. ტესტირება 15 აგვისტოდან 18 სექტემბრამდე გაგრძელდება, კონკურსის მეორე ეტაპი - გასაუბრება კი ტესტირების პარალელურად ჩატარდება და სექტემბრის ბოლოს უკვე ყველა ვაკანსია დაკავებული იქნება.*

ნანა ქადაგიშვილი

მერიაში ქალაქის მმართველობა-თვითმმართველობის მოსამსახურეთა ვაკანსიებზე 7 ათასამდე განცხადებას ვარაუდობდნენ, მაგრამ შეტანილი განცხადებების რაოდენობამ 8 200-ს გადააჭარბა. როგორც საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი სერგო ქავთარაძე აცხადებს, განსაკუთრებული დატვირთვა მერია-საკრებულოს აპარატზე მოდის. 96 ვაკანსიაზე 1 800-მდე განცხადებაა შესული. მეორე ადგილზე ჯანდაცვისა და განათლება-კულტურის საქალაქო სამსახურები დგას, მესამე ადგილი კორესპონდენციის განყოფილებას უკავია. ყველაზე ნაკლები განცხადება კი დაბა წყნეთის გამგეობაში არსებულ ვაკანსიებზეა შესული.

ტესტირების ვადები განყოფილებების მიხედვით არის განსაზღვრული. ტესტირების პროცესი 4 საათს გაგრძელდება და მას 3 დამკვირვებელი გააკონტროლებს. შედეგები ტესტის ჩაბარებიდან 7 დღეში გახდება ცნობილი.

ტესტების ძირითადი ნაწილი, 40 კითხვა, სამართლებრივი აქტებისა და კომპიუტერის ცოდნის შემოწმებას უკავია, 30 კითხვა კი უნარ-ჩვევებს განსაზღვრავს. თუმცა, უნარ-ჩვევების ტესტის შედეგები ტესტირების საერთო შედეგებზე გავლენას არ ახდენს, მათ გასაუბრების დროს გაითვალისწინებენ.

გასაუბრება ტესტირების პარალელურად დაიწყება. საკონკურსო კომისიაში მონაწილეობას 50-მდე წევრი მიიღებს. თითო კომისია 7-8 სპეციალისტით დაკომპლექტდება.

რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას – კონკურსის ობიექტურობას, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ხელმძღვანელები გვარწმუნებენ, რომ სუბიექტურობა გამორიცხულია. ყოველ შემთხვევაში, ტესტირების დროს ჩაწყობა გაჭირდება, რადგან ყველა პიროვნება, ვინც ტესტირებაზე გადის, კოდირებულია. ანუ, განცხადების შეტანის დროს თითოეულ პიროვნებას საკუთარ კოდს აძლევენ. ამის გარდა, ტესტსაც თავისი კოდი აქვს. ასე რომ, ტესტის ავტორის ვინაობის დადგენა ძნელია. რაც შეეხება გასაუბრებას, ეს უკვე კომისიის წევრების კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ თბილისში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რაიონულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების შეხვედრა გაიმართა.

"ნაციონალებმა" პარტიის მომავალ სამოქმედო გეგმასა და მიმდინარე საკითხებზე იმსჯელეს. შეხვედრას, რომელიც დახურულ კარს მიღმა გაიმართა, პარტიის ლიდერებიც დაესწრნენ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკურმა გაერთიანება "ახალმა მემარჯვენეებმა" შუალედურ საპარლამენტო არჩევნებზე შუახევში წარსადგენი მაჟორიტარული კანდიდატი შეცვალა.

როგორც "მემარჯვენეებმა" განაცხადეს, შუახევის საარჩევნო ოლქში წარსადგენი კანდიდატის შეცვლასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება საარჩევნო ბლოკმა "მემარჯვენე ოპოზიციამ" მიიღო. შუახევში "ახალი მემარჯვენეების" კანდიდატის ვახტანგ ზოიძის ნაცვლად, "მრეწველების" კანდიდატს ედვარდ ნიჟარაძეს წარადგენენ. ედვარდ ნიჟარაძეს სოხუმის უნივერსიტეტში იურიდიული და ისტორიული ფაკულტეტები აქვს დამთავრებული, დღეს კი მცირე ბიზნესითაა დაკავებული. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საარჩევნო ბლოკმა "მემარჯვენე ოპოზიციამ" შუალედური საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო შტაბების ფორმირება უკვე დაიწყო.

"მემარჯვენე ოპოზიცია" ისნის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ბლოკში შემავალი ერთ-ერთი პარტიის "ახალი მემარჯვენეების" საერთაშორისო ურთიერთობათა მდივანს გიორგი მოსიძეს წარადგენს.

მოსიძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი ყოფილი პარლამენტარი დავით კერესელიძე იქნება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოძრაობა "წინ, საქართველოს" ლიდერების ზუგდიდელ მოსახლეობასთან შეხვედრა ჩხუბით დასრულდა. შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრში ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც დარბაზში ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრე ლოთი ქობალია გამოჩნდა.

ქობალიამ სიტყვით გამოსულ "წინ, საქართველოს" ერთ-ერთ ლიდერს მიხეილ ქურდიანს საუბრის დასრულება არ აცალა და ირაკლი ბათიაშვილის პერსონის გარშემო კითხვებზე პასუხის გაცემა მოითხოვა.

"წინ, საქართველოს" ლიდერები მომხდარს პროვოკაციად აფასებენ. მოსალოდნელ პროვოკაციაზე ისინი ზუგდიდში გამგზავრებამდეც საუბრობდნენ და აცხადებენ, რომ პრესაში გამოქვეყნებულმა მასალებმა, ასევე ზუგდიდის საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნამ, ხელისუფლების გადაყენებისა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შესახებ, ხელისუფლების გაღიზიანება გამოიწვია. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ჟენევაში 2-5 აგვისტოს გაემგზავრება. სამთავრობო დელეგაცია, რომელშიც საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და საქართველოს პარლამენტის წევრები შედიან, საერთაშორისო კონფერენციაში მიიღებენ მონაწილეობას.

როგორც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ განაცხადა, საერთაშორისო კონფერენცია ჟენევაში რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს მიეძღვნება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის მსურველებისთვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განაცხადების მიღება გუშინ დაიწყო.

შუალედურ არჩევნებს სახელმწიფო 1 მლნ 200 ათასი ლარით აფინანსებს, რომელიც საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვას, საარჩევნო უბნების მომზადებას და წინასაარჩევნო კამპანიის რეკლამირებას მოხმარდება.

თითოეულ კანდიდატს საზოგადოებრივ არხზე საეთერო დროის 10-10 წუთი დაეთმობა, კერძო ტელეკომპანიებში კი მათ დრო საკუთარი ხარჯებით უნდა დააფინანსონ.

არჩევნები 1 ოქტომბერს არის დანიშნული და ის ხუთ საარჩევნო ოლქში - ისანში, შუახევში, ტყიბულში, ბათუმსა და ქობულეთში ჩატარდება. **ინტერპრესნიუსი**

# რკინიგზის აღდგენას აფხაზეთში მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ



*სოხუმიდან ადლერის მიმართულებით.*



*დაიწყება თუ არა აღდგენითი სამუშაოები?*

პირველი გვერდიდან

მართალია, აფხაზეთში, საქართველოსგან განსხვავებით, მოწინააღმდეგეები ჯერ არ აპირებენ საპროტესტო აქციების გამართვას. თუმცა, თემა თანდათან მწვავდება. არიან ისეთები, რომლებიც არ ეთანხმებიან მოლაპარაკებათა სქემას და ისინი, ვინც თვით მოლაპარაკებების პროცესს ეწინააღმდეგება. ასეთ ვითარებაში, ოპოზიცია, რომელმაც სარკინიგზო მიმოსვლას სპეციალური მიმართვა მიუძღვნა, საკმაოდ ლიბერალური ჩანს. ისინი აცხადებენ, რომ რკინიგზის აღდგენის იდეის წინააღმდეგნი არ არიან. მათ პრეტენზია მხოლოდ მოლაპარაკებებში აფხაზური დელეგაციის ქცევის მიმართ აქვთ. ოპოზიცია კატეგორიულად ეწინააღმდეგება მოლაპარაკებებში ავტონომიური ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობას, რადგან ამას შორს მიმავალი პოლიტიკური შედეგები შეიძლება მოყვეს. ოპოზიციას არც ის აძლევს ხელს, რომ მოლაპარაკებები ქართული სცენარით მიმდინარეობს. აფხაზური მხარე კი მხოლოდ იმ პროგრამას განიხილავს, რაც საქართველოს ხელისუფლების მიერ არის შეთავაზებული.

ბევრს არ მოსწონს შანტაჟიც, რასაც საქართველოს მხრიდან ხედავენ, როდესაც ისინი რკინიგზის აღდგენაზე მოლაპარაკებების წარმოებას დევნილთა დაბრუნების საკითხის პარალელურად განხილვას მოითხოვენ.

**"ამ პრობლემებს შორის არანაირი კავშირი არ არის. ერთი არის გზა, მეორე კი - ხალხი. ჩვენ უბრალოდ გვეუბნებიან: თქვენ დააბრუნეთ დევნილები და ჩვენ გზას გაგიხსნით. ეს ჩვეულებრივი შანტაჟია. ეს იგივეა, ჩვენ გვეთქვა, მოგვეცით ფული და ამის საპასუხოდ მოლაპარაკებებში მონაწილეობას მივიღებთ-თქო. ჯერ კიდევ უნდა გაირკვეს, ვის სჭირდება გზა. მართალია, აფხაზეთი წელიწადში 7-8 მილიონ დოლარს მიიღებს, მაგრამ ჩვენი ბიუჯეტი ამჟამად სწორედ ამ თანხით იზრდება,"** – აცხადებს ოპოზიციის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელი ანზორ მანია.

არის კიდევ ერთი გავრცელებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოსგან განსხვავებით აფხაზურმა მხარემ მოლაპარაკებებზე არანაირი პირობა არ წამოაყენა. **"საქართველო ჩვენთვის საზღვაო ბლოკადის განხორციელებას ცდილობს. რათა შეგვიწყვიტოს გარე სამყაროსთან ყოველგვარი მიმოსვლა, რითიც სხვათა შორის, გვაიძულებს, ურთიერთობა მხოლოდ რუსეთთან ვიქონიოთ. ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო საზღვაო კომუნიკაციების აღდგენის საკითხი წამოგვეყენებინა. ამის შესახებ აუცილებლად უნდა ვისაუბროთ,"** – მიაჩნიათ აფხაზეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს.

განსხვავებული არგუმენტები აქვთ მათ, ვინც რკინიგზის აღდგენის წინააღმდეგნი არიან. ისინი ამ პროექტის აღდგენაში ქვეყნისათვის საერთოდ ვერანაირ საჭიროებას ვერ ხედავენ. მათი მოსაზრებით, პროექტი პირველ რიგში რუსეთს სჭირდება, რათა ამ უკანასკნელმა სამხრეთ კავკასიაში საკუთარი გავლენა გააძლიეროს, აფხაზეთი კი იძულებულია, მისთვის საშიშ პროექტში მიიღოს მონაწილეობა.

მოსაზრებები კი მრავალფეროვანია: **"რუსეთი ცდილობს აფხაზეთი საქართველოს მიაბას"** ან – **"არ შეიძლება მიმოსვლის აღდგენა, რადგან მოძრაობა და ხმაური ტურიზმის განვითარებას შეუშლის ხელს, რაც, სხვათა შორის, რკინიგზისგან განსხვავებით, კარგ მოგებას იძლევა."**

არანაკლებ მნიშვნელოვანი არგუმენტაა ისიც, რომ სატრანსპორტო კომუნიკაციების აღდგენა ახალი ომის დაწყების შემთხვევაში, აფხაზეთს ცუდად მოუბრუნდება. თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამ მოსაზრებას პასუხი უკვე გასცეს, აღნიშნეს რა, რომ საქართველო, შესაძლოა, შეტევაზე როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან გადმოვიდეს. რკინიგზა კი არც ისე დიდად გაზრდის საქართველოს შანსებს, აფხაზეთში წარმატებული სამხედრო კამპანია აწარმოოს.

ერთი სიტყვით, პროექტის მიმართ საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო და უფრო ნეგატიური ხდება, და ხელისუფლება, როგორც ჩანს, ვერ შეძლებს სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე მუშაობის ყველა ეტაპზე კრიტიკა თავიდან აიცილოს.

# პასუხისმგებლობის ახალი ვარიანტი

*პირველი ივლისიდან სახელმწიფო უწყებებს დაქვემდებარებული ვეტლაბორატორიები კერძო საკუთრებაში გადავიდა. ანუ, ამიერიდან მოქალაქის საკვებით მოწამვლის შემთხვევაში პასუხს, სახელმწიფო სამსახურების ნაცვლად, ბაზრებისა და საწარმოების ხელმძღვანელობა აგებს. ვეტერინარულ და სანიტარულ სამსახურებს მხოლოდ მოქალაქეთა საჩივრის საფუძველზე რეაგირება და საქმის პროკურატურისთვის გადაცემა ევალებათ.*

ნანა ქადაგიშვილი

რა უფრო ეფექტურია, სავაჭრო ობიექტები წინასწარ აკონტროლო, რათა უბედურება თავიდან აიცილო, თუ დამნაშავეს პასუხი აგებინო მას შემდეგ, როცა უბედურება მოხდება? ჩვენმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ბოლო ვარიანტი არჩიოს, რადგან პირველი ვარიანტი, უკვე კარგა ხანია, აღარ ამართლებს. ანუ, კონტროლის არსებული მექანიზმისგან, საბოლოოდ, მექრთამე მაკონტროლებელი და, შესაბამისად, გაუკონტროლებელი ბაზარი თუ მაღაზია მივიღეთ. ამ მიზეზით, ხელისუფლებამ კონტროლის მექანიზმი გაამარტივა და პასუხისმგებლობა მეწარმეებსა და სავაჭრო ობიექტების ხელმძღვანელობაზე გადაანაწილა. ჯერჯერობით, ვეტლაბორატორიებით დაიწყო, მომავალში კი, ალბათ, საწარმოებს საკუთარი სანიტარული სამსახურებიც ექნება. **"უცხოეთის ბევრ განვითარებულ ქვეყანაში საწარმოსა და ბაზარს საკუთარი სანიტარული და ვეტერინარული სამსახურები აქვს და მოქალაქის დაზარალების შემთხვევაში პასუხს, უპირველესად, მეწარმე და სავაჭრო ობიექტის ხელმძღვანელობა აგებს,"** – აცხადებს სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის ხელმძღვანელი დავით მესხიშვილი.

ჩვენს პირობებში ეს სიახლე რამდენად გაამართლებს, ანუ მეწარმეს პასუხისგების შეეშინდება თუ არა, ცალკე საკითხია. ჯერჯერობით კი, პურის ქარხნის ხელმძღვანელები ვერანაირ პასუხისმგებლობას ვერ გრძნობენ. როგორც სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის უფროსი დავით მესხიშვილი აცხადებს, საქართველოში არსებული პურის ქარხნების 99 პროცენტის სანიტარული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, ანუ პურის საცხობებს ბუზები და ტარაკნები ხშირად სტუმრობენ. ახლახან მოქალაქის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე (პურში მტრედის ნაწილები რომ აღმოაჩინა), სანიტარულმა ინსპექციამ ლილოში ორი საცხობი შეამოწმა (საჩივრის საფუძველზე, ინსპექციას უფლება აქვს, საწარმოებში შევიდეს) და საჯარიმო სანქციებს ამზადებს. სხვათა შორის, ინსპექციამ იმ ქარხანას, სადაც "მტრედიანი პური" გამოაცხვეს, ჯერ ვერ მიაკვლია. როგორც მესხიშვილი ამბობს, მაღაზიებში ვერსად ნახავთ დოკუმენტაციას, რის მიხედვითაც პურის წარმომავლობის გაგება შეიძლება. ინსპექცია ფინანსურ პოლიციას სთხოვს, ამ საკითხს ყურადღება მიაქციოს.

სანიტარული ინსპექცია ერთ წერილს თბილისის ახალი მერისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელობის სახელზეც ამზადებს და ქალაქში არსებული ორი ნაგავსაყრელის შემოღობვას სთხოვს, რათა გლდანის ნაგავსაყრელზე ღორებსა და სანიტარულ სამსახურს შორის მომხდარი ცნობილი ინციდენტი ისევ არ განმეორდეს. სხვათა შორის, ნაგავსაყრელიდან გასახლებული ღორები ამჟამად თიანეთში, მეპატრონეების გვერდით და თიანეთის გამგებლის მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრობენ. გამგებელს მეპატრონეებისთვის ვეტერინარის ნებართვის გარეშე დაკლული ღორის გაყიდვა აუკრძალავს.

## "ლილო-პურის" ქარხანა

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ხნის წინ მას-მედიის საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია პურში უცხო სხეულის აღმოჩენის შესახებ. საინფორმაციო მასალებში პროდუქტის მწარმოებლად "ლილო-პურის" ქარხანა დასახელდა, რამაც, ბუნებრივია, აღნიშნული საქმის კვლევის აუცილებლობის საკითხი დააყენა.

დღეს სახეზეა საექსპერტო დასკვნა, საიდანაც მოკლე ამონაწერს ქვემოთ წარმოგიდგენთ.

*საექსპერტო დასკვნის ამონაწერი*

**სასამართლო ექსპერტიზის არასამთავრობო კვლევითი ცენტრი „ალტ-ექსპერტი"**

*აქტი N11, 01.08.2005*

■ პურის ფრაგმენტის სიმცირისა, მათზე არსებული ტრასების დეფორმაციისა (გამოშრობა) და გეომეტრიული ფორმის დაკარგვის გამო, - **დადგენა თუ რომელ ტექნოლოგიურ ხაზზე იყო გამომცხვარი პური და ეკუთვნოდა თუ არა ის "ლილო-პურს", შეუძლებელია, ვინაიდან ნიმუში კვლევას არ ექვემდებარება**

■ თუ გავითვალისწინებთ "ლილო-პურის" ქარხანაში პურის ტექნოლოგიურ ხაზზე მიმავალ ყველა პროცესს, **პურში უცხო სხეულის მოხვედრა (გამიზნულად ჩადების გარდა), ფაქტიურად, შეუძლებელია.**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ანგარიში №000142101 საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი ბანკის კოდი 220501102) აცხადებს ღია ტენდერს ბათუმი-ხულო-ახალციხის საავტომობილო გზის კმ. 52+500-კმ. 61+60 მონაკვეთებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავარაუდო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვის ვადაში დაინტერესებულ პირებს გასაწევი მომსახურების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე დალუქული პაკეტით 2005 წლის 18 აგვისტოს 10 საათიდან 2005 წლის 19 აგვისტოს 17 საათამდე ორ ეგზემპლარად შემდეგ მისამართზე: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტში. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6-ში.

დაინტერესებული პირების საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს საექსპერტო ჯგუფი, რომლის დასკვნის საფუძველზეც სატენდერო კომისია ტენდერის პირველ ეტაპზე განსაზღვრავს პრეტენდენტებს, ხოლო შემდეგ განახორციელებს შერჩეული პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი პირველადი სატენდერო წინადადების განხილვას.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით. ტენდერის მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

4.1. ცნობები:

4.1.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) არ იყო მსჯავრდებული და არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ;

ე) ხელის მოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელის მომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი.

4.1.2. ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმე.

4.1.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის: შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად ტენდერში მონაწილეობის მსურველს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ლიცენზია.

ცნობა ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე პერსონალის საერთო და ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

| თანამდებობა სპეციალოქბა | გვარი სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| | | | |

4.1.4. ცნობას სუბკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში სუბკონტრაქტორის მიერ განხორციელებული მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| შესრულებული სამუშაოს სახე | სუბკონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბკონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულება |
|---|---|---|
| 1<br>2<br>3<br>და ა.შ. | | |

4.1.5. სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმები

| | მანქანა-მექანიზმების სახე | მოდელი და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან), შეძენილ იქნება (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| 3 | | | | | |

4.2. ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას წერილობითი სახით):

- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას: რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს;
- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას;
- ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაციის შეძენის ვადა დაზუსტდება ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ და პრეტენდენტებს ეცნობებათ.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება სახელშეკრულებო ჯამური ღირებულების არანაკლებ 2%-ის ოდენობით.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტში, ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6.

**სატენდერო კომისია**

---

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ყვარელი რაიონის სოფ. Eენისელის სკოლის რეაბილიტაცია.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფ. Gენისელის განვითარების სათემო კავშირთან "ენისელი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "ენისელი" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ყვარელის რაიონი,
სოფ. ენისელის, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი ლადო ფოთოლაშვილი -სათემო კავშირი "ენისელი"-ს თავჯდომარე

2005 წლის 5 აგვისტოს 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 900 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ყვარელის რაიონი,
სოფ. ენისელის, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი ლადო ფოთოლაშვილი -სათემო კავშირი "ენისელი"-ს თავჯდომარე 2005 წლის 5 სექტემბრის 12 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

---

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ანგარიში №000142101 საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი ბანკის კოდი 220501102) აცხადებს ღია ტენდერს "გოროდოკი-ახალშენი" (ახალშენის ცენტრამდე) მონაკვეთებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავარაუდო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვის ვადაში დაინტერესებულ პირებს გასაწევი მომსახურების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე დალუქული პაკეტით 2005 წლის 18 აგვისტოს 10 საათიდან 2005 წლის 19 აგვისტოს 17 საათამდე ორ ეგზემპლარად შემდეგ მისამართზე: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტში. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6-ში.

დაინტერესებული პირების საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს საექსპერტო ჯგუფი, რომლის დასკვნის საფუძველზეც სატენდერო კომისია ტენდერის პირველ ეტაპზე განსაზღვრავს პრეტენდენტებს, ხოლო შემდეგ განახორციელებს შერჩეული პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი პირველადი სატენდერო წინადადების განხილვას.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით. ტენდერის მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

4.1. ცნობები:

4.1.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) არ იყო მსჯავრდებული და არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ;

ე) ხელის მოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელის მომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი.

4.1.2. ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმე.

4.1.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის: შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად ტენდერში მონაწილეობის მსურველს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ლიცენზია.

ცნობა ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე პერსონალის საერთო და ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

| თანამდებობა სპეციალოქბა | გვარი სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| | | | |

4.1.4. ცნობას სუბკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში სუბკონტრაქტორის მიერ განხორციელებული მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| შესრულებული სამუშაოს სახე | სუბკონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბკონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულება |
|---|---|---|
| 1<br>2<br>3<br>და ა.შ. | | |

4.1.5. სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმები

| | მანქანა-მექანიზმების სახე | მოდელი და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან), შეძენილ იქნება (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| 3 | | | | | |

4.2. ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას წერილობითი სახით):

- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას: რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს;
- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას;
- ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაციის შეძენის ვადა დაზუსტდება ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ და პრეტენდენტებს ეცნობებათ.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება სახელშეკრულებო ჯამური ღირებულების არანაკლებ 2%-ის ოდენობით.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტში, ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6.

**სატენდერო კომისია**

---

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ყვარელი რაიონის სოფ. Gგრემის საბავშო ბაღის რეაბილიტაცია.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფ. Gგრემის განვითარების სათემო კავშირთან "ერთობა", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "ერთობა" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ყვარელის რაიონი,
სოფ. გრემის, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი თემურ მანგოშვილი -სათემო კავშირი "ერთობა"-ს თავჯდომარე

2005 წლის 5 აგვისტოს 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 900 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ყვარელის რაიონი,
სოფ. გრემის, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი თემურ მანგოშვილი -სათემო კავშირი "ერთობა"-ს თავჯდომარე 2005 წლის 5 სექტემბრის 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

---

# საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის განცხადება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, ექვსი ცალი უცხოური წარმოების სედანის ტიპის ავტომობილების შეძენისთვის აცხადებს ღია ტენდერს საშუამავლო მომსახურებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. შესასყიდი ობიექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

| № | მონაცემები | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1. | სედანის ტიპის ეკონომკლასის, ბენზინის ძრავი; 5-სიჩქარიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფი; 5-ადგილიანი, 4-კარიანი, უსაფრთხოების არანაკლებ 2 ბალიში; -ABC+BA+BBD სამუხრუჭე სისტემით; კონდიციონერი ან კლიმატკონტროლი; საჭის ჰიდრავლიკა, რადიო/მაგნიტოფონი. ელ.ფანჯრები, ცენტრალური საკეტი დისტანციური მართვით, ალუმინის დისკები. | 6 ც. |

2. მიწოდება უნდა განხორციელდეს ტენდერის დამთავრებისა და ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში, CIP-თბილისის მიწოდების პირობით.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა (ვადაში ითვლება განცხადების გამოქვეყნების თარიღი) სებ-ის კანცელარიაში 18.00 საათამდე სათანადო რეგისტრაციის გავლით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის აპარატი. ტელ: 44-24-02; შიდა ტელ: 4-02.

4. დაინტერესებულ იურიდიულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციებს, რომ:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება (ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);

დ) ტენდერის დაწყების მომენტისათვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან).

დაინტერესებული ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზებული დაწესებულებიდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან).

როგორც იურიდიულმა, ისე ფიზიკურმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

ა) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) წარდგინების წერილი (საკვალიფიკაციო მონაცემთა ნუსხაში შემავალი დოკუმენტაციის ჩამონათვალით).

5. მე-4 პუნქტში განსაზღვრული დოკუმენტაცია უნდა იქნეს წარმოდგენილი ორიგინალების სახით. ორიგინალის წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებულ უნდა იქნეს სათანადო წესით.

6. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო მონაცემებს, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სებ-ის სატენდერო კომპანიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც აღიარებიდან და შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბან7კში გახსნილო №00090472, "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე. ბანკის კოდი 220101107.

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატს საქართველოს ეროვნულ ბანკში. მის. ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, საფოსტო ინდექსი 0105; ოთახი №202. ტელ: 44-24-02, შიდა ტელ: 4-02.

ტენდერის პირობების შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ინტერნეტგვერდზე (www.nbg.gov.ge).

*საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია*

# სუდანის ვიცე-პრეზიდენტი ავიაკატასტროფაში დაიღუპა

ნანა ნასყიდაშვილი

*სუდანის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ჯონ გარანგი, რომელმაც აღნიშნული თანამდებობა სულ რაღაც სამი კვირის წინ დაიკავა, შაბათს ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ჯონ გარანგი 21 წლის განმავლობაში ქვეყნაში მიმდინარე სამოქალაქო ომში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და სუდანის ჩრდილოეთი რეგიონის აჯანყებული მოსახლეობის ინტერესთა დამცველად გამოდიოდა. სწორედ მისი უშუალო ძალისხმევით და ქვეყნის პრეზიდენტთან თანამშრომლობით, დაპირისპირებულმა მხარეებმა გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს. 2005 წლის იანვარში ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომლითაც სუდანის შეიარაღებული კონფლიქტი დასრულდა. 2005 წლის 9 ივლისს გარანგი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე დანიშნეს. ამ მოვლენას მილიონობით ადამიანი ზეიმით შეხვდა.*



სუდანის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ჯონ გარანგი, რომელიც ქვეყანაში მშვიდობის დამყარების ერთ-ერთ მთავარ გარანტად მოიზრებოდა, ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ჯონ გარანგის გარდაცვალების შესახებ ოფიციალური განცხადება ქვეყნის პრეზიდენტმა ომარ ალ ბაშირმა და გაერო-მ გააკეთა. სუდანის კომუნიკაციათა მინისტრ აბდელ ბაზ საბდარატის თქმით, ვერტმფრენი, რომლითაც ჯონ გარანგი უგანდის პრეზიდენტთან ორდღიანი შეხვედრის შემდეგ სამშობლოში ბრუნდებოდა, რადარის ეკრანიდან ჯერ კიდევ შაბათს გაქრა. დღეისთვის გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვერტმფრენის ჩამოვარდნის მიზეზად უამინდობა სახელდება.

ჯონ გარანგი სუდანის ვიცე-პრეზიდენტად სამი კვირის წინ-ათ, კერძოდ, 9 ივლისს დანიშნეს. მანამდე ის აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში - 21 წლის განმავლობაში მეამბოხე სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი იყო, მოგვიანებით კი, დარფურის კონფლიქტის მოგვარებაში იღებდა მონაწილეობას. სუდანში 1983-2004 წლებში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს ერთანეთს დაუპირისპირდნენ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები ქრისტიანები, აგრეთვე აფრიკულ ტრადიციულ რელიგიათა მიმდევარნი და ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც სუდანის არაბი მოსახლეობის ინტერესებს გამოხატავდა.

1999 წელს სუდანში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ქვეყანაში ასობით პოლიტპატიმარი გაჩნდა. 2001 წელს პოლიტიკური მდგომარეობა შეიცვალა. სუდანში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების სურვილი გაჩნდა. ჯონ გარანგისა და ქვეყნის პრეზიდენტის ომარ ალ ბაშირის ერთობლივი მუშაობის შედეგად, მხარეებმა გარკვეულ საკითხებზე შეთანხმებას მიაღწიეს და 2005 წლის იანვარში დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ, სუდანის შეიარაღებული კონფლიქტი დასრულდა. ჯონ გარანგმა, რომელმაც ახალ ხელისუფლებაში ვიცე-პრეზიდენტის ადგილი დაიკავა, მიღწეულ შეთანხმებას "უდიდესი ბრძოლა და გამარჯვება" უწოდა. **"ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში სამართლიანობა აღდგა. ვეღარავინ მოგვეპყრობა ისე, როგორც თავად სურს. ჩვენ იმისთვის მოვედით, რომ დავრჩეთ,"** - აღნიშნავდა სუდანის პირველი ვიცე-პრეზიდენტი. მხარეებს შორის შეთანხმების ხელმოწერის შედეგად, ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონებმა მართალია დამოუკიდებლობა ვერ მოიპოვეს, მაგრამ მათ ფართო ავტონომია მიენიჭათ, რომელიც თვითმმართველობასა და ბუნებრივი რესურსების, პირველ რიგში კი ნავთობის მოხმარებას ითვალისწინებს.

სუდანის პრეზიდენტის თქმით, ვიცე-პრეზიდენტის გარდაცვალება ქვეყანაში მიმდინარე მშვიდობიან პროცესზე ზეგავლენას არ იქონიებს. თუმცა, ექსპერტები და ანალიტიკოსები შიშობენ, რომ ჯონ გარანგის სიკვდილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას უარყოფით შედეგებს მოუტანს. მართალია, სუდანის ჩრდილოეთ ნაწილმა გარკვეული პრობლემების მოგვარება შეძლო, მაგრამ ახლახანს დამყარებული მშვიდობა მყარი არ არის, დარფურის კონფლიქტიც კვლავ გრძელდება.

# ისფაჰანის ბირთვულ ცენტრში სამუშაოები განახლდება

როგორც ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსადმი გაგზავნილ წერილშია აღნიშნული, ირანული მხარე ისფაჰანის ბირთვულ ცენტრში სამუშაოების განახლებას აპირებს. თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ისფაჰანის დალუქული ცენტრის გახსნა ჯერ კიდევ გუშინ უნდა მომხდარიყო, რაც მოგვიანებით გადაიდო.

ცენტრი გასული წლის ნოემბერში დაილუქა ნდობის გამყარების შესახებ მიღწეული შეთანხმების ფარგლებში. თითქმის მთელი 9 თვის განმავლობაში, ვიდრე შეწყვეტილი იყო ბირთვული ცენტრის ფუნქციონირება, ოფიციალური თეირანი აცხადებდა, რომ მორატორიუმი არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო სამუდამოდ, რადგან აქ მხოლოდ სამშვიდობო მიზნებით ხდებოდა ბირთვული ტექნოლოგიების შემუშავება. ცენტრის გახსნას ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლებიც დაესწრებიან. ირანი თანახმაა, ზემოაღნიშნული სააგენტოს კონტროლს დაუქვემდებაროს ამ სფეროში საქმიანობა, სამუშაოების განახლების უფლების მოპოვების სანაცვლოდ.

რაც შეეხება ირანისა და ევროპული სამეულის – დიდი ბრიტანეთი, გერმანია და საფრანგეთი, მოლაპარაკებებს, რეალურ შედეგამდე მისვლა კვლავ ვერ ხერხდება. მხარეები ვერაფრით თანხმდებიან იმ წინადადებათა პაკეტის წარდგენის ვადაზე, რაც დაძაბულ ვითარებას განმუხტავდა. ირანის თხოვნით, ევროპული სამეულის მხრიდან წინადადებათა წარდგენა 31 ივლისს უნდა მომხდარიყო, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა. ევროპელების მტკიცებით, მათ დამატებით ერთი კვირა სჭირდებათ. გარდა ამისა, ოფიციალური თეირანი ევროკავშირის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის ხავიერ სოლანასაგან იმ წერილის გაუქმებას მოითხოვს, სადაც ეს უკანასკნელი ურანის გამდიდრების ირანის პროგრამის განახლებაზე უარს ამბობს.

დაბოლოს, ისფაჰანის დალუქული ბირთვული ცენტრის ამოქმედების შემთხვევაში, ევროკავშირი მოლაპარაკებათა ჩიხში შესვლასაც არ გამორიცხავს.

# მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!

პირველი გვერდიდან

**"სამეფო კარი - მემკვიდრე პრინცის (ამავდროულად, მას პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და ეროვნული გვარდიის მეთაურის თანამდებობები უკავია), აბდულა ბინ აბდელაზიზის, ასევე, ოჯახის ყველა წევრისა და მთელი ერის სახელით იუწყება, რომ გარდაიცვალა ორი წმინდა მეჩეთის მცველი, მეფე ფაჰდ ბინ აბდელაზიზი",** - ნათქვამია, საუდის არაბეთის სამეფო კარის მიერ გუშინ გავრცელებულ ცნობაში.

მონარქის სიკვდილის შესახებ დილით გახდა ცნობილი. ერთ-ერთი პირველი უცხოელი მმართველი, ვისაც ეს ცნობა მიუვიდა, აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში იყო. შეგახსენებთ, საუდის არაბეთი ნავთობის უდიდეს მარაგს ფლობს და მსოფლიოში უმსხვილესი ნავთობექსპორტიორია. გარდა ამისა, საუდის არაბეთი აშშ-ს ყველაზე ერთგულ მოკავშირედ ითვლება არაბულ სამყაროში. ქვეყნის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი რაოდენობით არის წარმოდგენილი ამერიკული სამხედრო კონტინგენტიც.

ფაჰდი მაისის ბოლოს მწვავე პნევმონიის დიაგნოზით მეფე ფეისალის საავადმყოფოში მოათავსეს და მას შემდეგ იქ იმყოფებოდა. პერიოდულად ვრცელდებოდა ცნობები, რომ მონარქის ჯანმრთელობა გაუმჯობესებისკენ მიდის და ესესაა საავადმყოფოდანაც გამოწერენ. თუმცა, ყველასთვის ცხადი იყო, რომ ეს მხოლოდ ტახტის გარშემო მოსალოდნელი ბრძოლის გასანეიტრალებლად იყო მიმართული.

მართალია, დაძაბულობა ძალიან დიდი იყო (რეგენტი აბდულას გარდა, ტახტის მაძიებელთა შორის არიან კიდევ სამი ძმა – თავდაცვის მინისტრი პრინცი სულთანი, შინაგან საქმეთა მინისტრი პრინცი სალმანი და დედაქალაქ ერ-რიადის გუბერნატორი პრინცი ნაჯეფი) კრონპრინცმა აბდულამ, ერთი შეხედვით, უპრობლემოდ მოახერხა ტახტზე ასვლა. მემკვიდრე პრინცის სტატუსი პრინც სულთანმა მიიღო.

რასაკვირველია, საუდის არაბეთის კურსის რადიკალურ ცვლილებებს არავინ მოელის – თუნდაც, იმიტომ, რომ პრინცი აბდულა ქვეყანას, ფაქტობრივად, 1995 წლიდან მართავდა, მას შემდეგ, რაც მეფე ფაჰდიმ მძიმე ინსულტი გადაიტანა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. თუმცა, ამბობენ, რომ აბდულა გაცილებით პროადმოსავლური მონარქი იქნება, ვიდრე მისი წინამორბედი.

მაგრამ ისიც ფაქტია, რომ აბდულა ძალაუფლების შენარჩუნებას ისევ აშშ-სთან "მეგობრობითა" და რადიკალურ ისლამიზმთან მკაცრი პოზიციის დაკავებით შეძლებს. სხვათა შორის, ისლამისტთა წინააღმდეგ ამჟამადაც სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს ქვეყანაში, რომელიც ვაჰაბიზმის სამშობლოს წარმოადგენს (თუმცა, საუდეველთა დინასტიის გენეალოგიას თუ გადავხედავთ, მათ ძარღვებში ვაჰაბიზმის ფუძემდებლის, ლეგენდარული მუჰამედ იბნ ელვაჰაბას სისხლიც ჩქეფს).

მიუხედავად ყველაფრისა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალი მეფის ხანდაზმული ასაკი (ისიც 80 წელს არის გადაცილებული), ქვეყანაში სტაბილური რეფორმების გატარებისა და არაბეთის ნახევარკუნძულზე ტერორიზმის ამოძირკვის შანსებს მნიშვნელოვნად ამცირებს.

საუდის არაბეთში მონარქის ცვლილებამ კი უკვე იქონია გავლენა დანარჩენ მსოფლიოზე. ფაჰდის გარდაცვალებასთან დაკავშირებით რამდენიმე დღით გადაიდო არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სამიტი, რომელიც 3 აგვისტოს ეგვიპტის საკურორტო ქალაქ შარმ-ეშ-შეიჰში უნდა გამართულიყო. ამის შესახებ ორგანიზაციის წარმომადგენელმა განაცხადა. სამიტის შემდგომი ბედის შესახებ კონსულტაციებს ლიგის წევრი ქვეყნები უახლოს ხანებში დაიწყებენ.

ასევე, საუდეველი მონარქის შეცვლას მყისიერი რეაგირება მოჰყვა მსოფლიოს სასაქონლო ბირჟებზეც. მსოფლიოს ბაზარზე ნავთობის ფასი ერთბაშად 54 ცენტით გაიზარდა და ახლა 61 დოლარს აჭარბებს. თუმცა, ერ-რიადმა გუშინვე გააკეთა განცხადება, რომ ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებით არანაირი ცვლილებები არ იგეგმება.

## შესწორება

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირებს, რომ ა.წ. 16 ივლისს გაზეთ "24 საათში" N160(1020) გამოქვეყნებულ განცხადებაში ღია ტენდერის გამოცხადების შესახებ ბოლოდან მესამე აბზაცი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

პირები ან ორგანიზაციები, რომლებიც გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, მიიღებენ სატენდერო დოკუმენტაციას ქართულ ენაზე სატენდერო მოსაკრებლის - 500 ლარის გადახდის შემდეგ ა.წ. 16.08.05-დან 29.08.05-ის 15 სთ-მდე. სატენდერო წინადადებები მიიღება ა.წ. 29.08.05-დან 08.09.05-ის 15 სთ-მდე.

დანარჩენი, როგორც პირველი განხცადების ტექსტშია.

სატენდერო კომისია.

## განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ანგარიში №000142101 საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი 220501102) აცხადებს ღია ტენდერს ბაგრატიონის ქუჩის (შავშეთის ქუჩიდან ოძელაშვილის ქუჩამდე) მონაკვეთებზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავარაუდო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვის ვადაში დაინტერესებულ პირებს გასაწევი მომსახურების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე დალუქული პაკეტით 2005 წლის 18 აგვისტოს 10 საათიდან 2005 წლის 19 აგვისტოს 17 საათამდე ორ ეგზემპლარად შემდეგ მისამართზე: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტში; ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6-ში.

დაინტერესებული პირების საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს საექსპერტო ჯგუფი, რომლის დასკვნის საფუძველზეც სატენდერო კომისია ტენდერის პირველ ეტაპზე განსაზღვრავს პრეტენდენტებს, ხოლო შემდეგ განახორციელებს შერჩეული პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი პირველადი სატენდერო წინადადების განხილვას.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით. ტენდერის მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

4.1. ცნობები:

4.1.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) არ იყო მსჯავრდებული და არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ;

ე) ხელის მოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელის მომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებითი აღჭურვილი.

4.1.2. ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმე.

4.1.3. როგორც ფიზიკური პირისათვის, ასევე იურიდიული პირისათვის: შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად ტენდერში მონაწილეობის მსურველს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ლიცენზია.

ცნობა ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე პერსონალის საერთო და ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

| თანამდებობა სპეციალობა | გვარი სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| | | | |

4.1.4. ცნობას სუბკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში სუბკონტრაქტორის მიერ განხორციელებული მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| შესრულებული სამუშაოს სახე | სუბკონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბკონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულება |
|---|---|---|
| 1<br>2<br>3<br>და ა.შ. | | |

4.1.5. სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმები

| | მანქანა-მექანიზმების სახე | მოდელი და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან), შეძენილ იქნება (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>3 | | | | | |

4.2. ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას წერილობითი სახით):

- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას: რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს;

- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას;

- ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაციის შეძენის ვადა დაზუსტდება ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ და პრეტენდენტებს ეცნობებათ.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება სახელშეკრულებო ჯამური ღირებულების არანაკლებ 2%-ის ოდენობით.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტში, ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6.

სატენდერო კომისია








# საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება N22/2005**

**საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების 2005 წლის პირველი ოქტომბრის N57 ტყიბულის, N79 ბათუმის, N81 ქობულეთის საარჩევნო ოლქებში ხელახალი და N5 ისნის, N82 შუახევის საარჩევნო ოლქებში ჩასატარებელი შუალედური არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 29-ე მუხლის პირველი პუნქტის "ლ" ქვეპუნქტისა და 106-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** საქართველოს პარლამენტის 2005 წლის პირველ ოქტომბრის ხელახალი და შუალედური არჩევნების ძირითად საარჩევნო ღონისძიებათა ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

**1. არა უადრეს 2 აგვისტოსი (60 დღ.)**

ა) რეგისტრაციაში გატარების მიზნით ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების მიერ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიისათვის განცხადებით მიმართვა (მუხლი 951; პუნქტი 2).

ბ) შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის უფლებამოსილი პარტიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების 2-2 წევრის დანიშვნის გადაწყვეტილების წარდგენა (მუხლი 37; პუნქტი 3);

**2. არა უგვიანეს 7 აგვისტოსი (55 დღ.)**

ა) ცესკოს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმის წარდგენა (მუხლი 44; პუნქტი 1);

ბ) ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ საარჩევნო რეგისტრაციაში გატარების მიზნით განცხადებით მიმართვა შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიისათვის (მუხლი 951; პუნქტი 2).

**3. არა უგვიანეს 8 აგვისტოსი (54 დღ.)**

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის მიერ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის განცხადებისა და საბუთების შემოწმება და შესაბამისი დასკვნის წარდგენა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისათვის (მუხლი 951; პუნქტი 3).

**4. არა უგვიანეს 9 აგვისტოსი (53 დღე)**

ა) საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციაში გატარება იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი საბუთები შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს (მუხლი 951; პუნქტი 3);

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფისათვის მათ მიერ წარდგენილ საბუთებში შეუსაბამობებზე წერილობით მითითება (მუხლი 951; პუნქტი 3).

**5. არა უგვიანეს 10 აგვისტოსი (52 დღე)**

ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესწორებული საბუთების დაბრუნება საოლქო საარჩევნო კომისიისათვის (მაგრამ, მათთვის საბუთების შესასწორებლად დაბრუნებიდან, არა უგვიანეს მომდევნო დღისა). (მუხლი 951; პუნქტი 3).

**6. არა უგვიანეს 11 აგვისტოსი (51 დღ.)**

ა) ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი შესწორებული საბუთების შემოწმება და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა (მუხლი 951; პუნქტი 4);

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციისთანავე მისი წარმომადგენლისათვის მხარდამჭერთა სიის ნიმუშისა და 2 სააღრიცხვო ბარათის გადაცემა (მუხლი 951; პუნქტი 5).

**7. არა უგვიანეს 12 აგვისტოსი (50 დღ.)**

ა) საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ შექმნილ საარჩევნო უბანში შემავალი შენობა-ნაგებობების ნუსხისა და მისამართების დაზუსტება (მუხლი 16; პუნქტი 4);

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არჩევნებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების ჩარიცხვა ცესკოს ანგარიშზე (მუხლი 44; პუნქტი 2);

გ) სახელმწიფო და არასახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობები ვალდებულნი არიან დაიცვან საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-14 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები (მუხლი 73; პუნქტი 14);

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ იმ შენობა-ნაგებობათა ჩამონათვალის გამოქვეყნება, სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა (მუხლი 75; პუნქტი 4);

ე) საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების 3-3 წევრის არჩევის საწყისი ვადა (მუხლი 37; პუნქტი 1);

**8. არა უგვიანეს 15 აგვისტოსი (47 დღ.)**

საარჩევნო უბნების დაზუსტებული საზღვრების გამოქვეყნება საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ (მუხლი 16; პუნქტი 4).

**9. არა უგვიანეს 16 აგვისტოსი (46 დღ.)**

ა) საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების 3-3 წევრის არჩევა (მუხლი 37; პუნქტი 1);

ბ) შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის უფლებამოსილი პარტიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების 2-2 წევრის დანიშვნის გადაწყვეტილების წარდგენის ბოლო ვადა (მუხლი 37; პუნქტი 3);

**10. არა უგვიანეს 17 აგვისტოსი (45 დღ.)**

ა) ცესკოს მიერ საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების ჩარიცხვა საოლქო საარჩევნო კომისიის მიმდინარე ანგარიშზე (მუხლი 44; პუნქტი 4);

ბ) მხედველობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლების შესახებ ინფორმაციის (გვარი, სახელი და მისამართი) გადაცემა ცესკოსათვის სათანადო სახის საარჩევნო ბიულეტენის დამზადების მიზნით (მუხლი 51; პუნქტი 2);

გ) რეგისტრირებული პარტიების/საარჩევნო ბლოკების მიერ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის შემთხვევაში საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნა (მუხლი 46 პუნქტი 31).

**11. არა უგვიანეს 19 აგვისტოსი (43 დღ)**

რეგისტრირებული პარტიების/საარჩევნო ბლოკების მიერ საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნის შესახებ ცნობის წარდგენა ცესკოში (მუხლი 46; პუნქტი 4).

**12. არა უგვიანეს 20 აგვისტოსი (42 დღ.)**

ა) საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის მიზნით საარჩევნო კომისიისათვის განცხადებით მიმართვამდე დაკავებული თანამდებობიდან უნდა გადადგნენ და გათავისუფლდნენ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 94-ე მუხლში ჩამოთვლილი თანამდებობის პირები (მუხლი 94);

ბ) შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ იმ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების არჩევა, სადაც დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები კომისიის წევრი აღმოჩნდა (მუხლი 37; პუნქტი 5);

**13. არა უგვიანეს 21 აგვისტოსი (41 დღ.)**

ა) საარჩევნო რეგისტრაციის მქონე საინიციატივო ჯგუფმა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი განცხადება საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ და მხარდამჭერთა სია (მუხლი 97; პუნქტი 5).

ბ) საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიამ/საარჩევნო ბლოკმა ცესკოს უნდა წარუდგინოს უფლებამოსილი პირის მიერ სელმოწერილი განცხადება საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ, ხოლო შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას კი მხარდამჭერთა სია (მუხლი 97; პუნქტი 51).

გ) ცსკოს მიერ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში რეგისტრირებული პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს მოთხოვნისთანავე გადაეცემა მხარდამჭერთა სიის ნიმუში და 2 სააღრიცხვო ბარათი.

**14. არა უადრეს 22 აგვისტოსი (40 დღისა.)**

ა) საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომის მოწვევა (მუხლი 20 პუნქტი 4);

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიისათვის ამომრჩეველთა ერთიანი სიების გადაცემა (მუხლი 9; პუნქტი 11).

**15. არა უგვიანეს 24 აგვისტოსი (38 დღ.)**

პარტიის/საარჩევნო ბლოკის და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატების რეგისტრაციისათვის საჭირო საბუთების შემოწმება შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ და დასკვნის წარდგენა შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისათვის (მაგრამ, საბუთების მიღებიდან არა უგვიანეს 3 დღის ვადაში) (მუხლი 98; პუნქტი 4 და მუხლი 106; პუნქტი 5).

**16. არა უგვიანეს 25 აგვისტოსი (37 დღ.)**

ცენტრალური/საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ პარტიის/საარჩევნო ბლოკისა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის წერილობითი შეტყობინება მათ მიერ წარდგენილი კანდიდატის საბუთებში არსებული შეუსაბამობების შესახებ (შეუსაბამობების მითითებით) (მუხლი 98; პუნქტი 4 და მუხლი 106; პუნქტი 5).

**17. არა უგვიანეს 27 აგვისტოსი (35 დღ.)**

ა) საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სიის გამოქვეყნება (მუხლი 37; პუნქტი 4;);

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომის მოწვევა (მუხლი 20, პუნქტი 4);

**18. არა უგვიანეს 28 აგვისტოსი (34 დღ.)**

ა) ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესწორებული საბუთების დაბრუნება საოლქო საარჩევნო კომისიისათვის. (მაგრამ, მათთვის საბუთების დაბრუნებიდან არა უგვიანეს 3 დღისა) (მუხლი 98; პუნქტი 4);

ბ) პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ შესწორებული საბუთების დაბრუნება ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის (მაგრამ, მათთვის საბუთების დაბრუნებიდან არა უგვიანეს 3 დღისა) (მუხლი 98; პუნქტი 4 და მუხლი 106; პუნქტი 5.).

**19. არა უგვიანეს 29 აგვისტოსი (33 დღ.)**

ა) ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის მხარდამჭერი ამომრჩეველთა სიების შესახებ დასკვნის წარდგენა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისათვის (მუხლი 98; პუნქტი 4);

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატის მხარდამჭერთა სიების შემოწმება და დასკვნის წარდგენა ცესკოს თავმჯდომარისათვის (მუხლი 106; პუნქტი 5.).

**20. არა უგვიანეს 31 აგვისტოსი (31 დღ.)**

ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში, პარტიის/საარჩევნო ბლოკისა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატების რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ (მუხლი 98; პუნქტი 5 და მუხლი 106; პუნქტი 5);

**21. არა უგვიანეს 1 სექტემბრისა (30 დღ.)**

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის მიერ განცხადებით მიმართვა შესაბამისი საარჩევნო კომისიისათვის და წესდების ნოტარიულად დამოწმებული ასლის წარდგენა (მუხლი 69; პუნქტი 3);

**22. არა უგვიანეს 6 სექტემბრისა (25 დღ.)**

ა) ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიისათვის კენჭისყრის ადგილის დროებითი, მარტივი ადაპტაციის მოთხოვნის განცხადებით მიმართვა (მუხლი 50; პუნქტი 2);

ბ) ცესკოს ან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა (მუხლი 69; პუნქტი 1; პუნქტი 3).

**23. არა უგვიანეს 8 სექტემბრისა (23 დღ.)**

საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის, საარჩევნო კოდექსის 68-ე მუხლით განსაზღვრული დამკვირვებელი ორგანიზაციისა და ამომრჩევლების მიერ ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილ ვერსიაში უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში სიებში ცვლილების შეტანის მოთხოვნა (მუხლი 9; პუნქტი 7).

**24. არა უგვიანეს 11 სექტემბრისა (20 დღ.)**

ა) საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისათვის კენჭისყრის ადგილის, ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებისათვის, დროებითი, მარტივი ადაპტაციის მოთხოვნით მიმართვა (მუხლი 50; პუნქტი 2);

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ამომრჩეველთა მონაცემებში/სიებში ცვლილების/შესწორების შეტანა ან უარის თქმის შესახებ დასაბუთებული განკარგულების გამოცემა (მუხლი 9; პუნქტი 8).

**25. არა უგვიანეს 13 სექტემბრისა (18 დღ.)**

საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ამომრჩეველთა სიებში შესწორების შეტანის შესახებ განკარგულების ცესკოსთვის და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემა (მუხლი 9, პუნქტი 9);

**26. არა უგვიანეს 14 სექტემბრისა (17 დღ.)**

ამომრჩეველთა სიაში ცვლილებების შეტანაზე უარის თქმის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გასაჩივრება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში. (მუხლი 9, პუნქტი 10).

**27. არა უგვიანეს 16 სექტემბრისა (15 დღ.)**

ა) სახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობები ვალდებულნი არიან წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამის განთავსების მიზნით ყოველდღიურად უსასყიდლოდ გამოყონ ტელევიზიისა და რადიოს საეთერო დროის ორ-ორი საათი (მუხლი 73; პუნქტი 13);

ბ) გამონაკლის შემთხვევებში საარჩევნო უბნის შექმნის ბოლო ვადა (მუხლი 16 პუნქტი 3).

**28. არა უადრეს 17 სექტემბრისა (14 დღ.)**

შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის უფლებამოსილი პარტიების მიერ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების 2-2 წევრის დანიშვნის გადაწყვეტილების წარდგენა (მუხლი 37; პუნქტი 3);

**29. არა უგვიანეს 17 სექტემბრისა (14 დღ.)**

ა) საარჩევნო სუბიექტების რიგითობის განსაზღვრა (მუხლი 99; პუნქტი 1);

ბ) შესაბამისი რაიონული/საქალაქო სასამართლოს მიერ ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გადაცემა, რომელიც, თავის მხრივ, ამ ინფორმაციას დაუყოვნებლივ გადასცემს ცესკოს და შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას (მუხლი 9, პუნქტი 10).

**30. არა უგვიანეს 18 სექტემბრისა (13 დღ.)**

საოლქო საარჩევნო კომისია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი საარჩევნო უბნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართებს, ტელეფონის (ფაქსის) ნომრებს და სხვა რეკვიზიტებს (მუხლი 16 პუნქტი 7).

**31. არა უგვიანეს 19 სექტემბრისა (12 დღ.)**

ა) საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საარჩევნო ოლქში წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატთა იმ მონაცემების გამოქვეყნება, რომელიც შეიტანება საარჩევნო ბიულეტენში (მუხლი 99; პუნქტი 7).

**32. არა უგვიანეს 21 სექტემბრისა (10 დღ.)**

შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიები შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიების საინფორმაციო მასალის გამოცემასა და გავრცელებას (სავალდებულოა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში წარდგენილ კანდიდატთა სიების გავრცელება) (მუხლი 75; პუნქტი 1).

**33. არა უგვიანეს 22 სექტემბრისა (9 დღ.)**

ა) შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის უფლებამოსილი პარტიების მიერ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების 2-2 წევრის დანიშვნის გადაწყვეტილების წარდგენა (მუხლი 37 პუნქტი 3).

**34. არა უგვიანეს 23 სექტემბრისა (8 დღ.)**

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა (მუხლი 21; პუნქტი 4).

**35. არა უგვიანეს 24 სექტემბრისა (7 დღ.)**

ა) საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის მიერ ცესკოსათვის რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართვა (მუხლი 69; პუნქტი 4);

**36. არა უგვიანეს 25 სექტემბრისა (6 დღ.)**

ა) სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიისათვის ამ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა სიის გადაცემა, რომლებიც კენჭისყრის დღეს სამკურნალოდ წვანან საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში (მუხლი 10; პუნქტი 3);

ბ) სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიისათვის ამ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული ამომრჩეველთა სიის გადაცემა, რომლებიც კენჭისყრის დღეს წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან (მუხლი 10; პუნქტი 4);

**37. არა უგვიანეს 26 სექტემბრისა (5 დღ.)**

ა) გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სიის გამოქვეყნება შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ (მუხლი 37; პუნქტი 4;);

ბ) შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ იმ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების არჩევა, სადაც დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები კომისიის წევრი აღმოჩნდა (მუხლი 37; პუნქტი 5);

გ) ცესკოს მიერ საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა (მუხლი 69; პუნქტი 4);

დ) ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივნისათვის დამკვირვებლების სიის წარდგენა (მუხლი 69; პუნქტი 7);

ე) საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის იმ წევრთა სიის შედგენა, რომელნიც არიან იმ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, რომელიც არ წარმოადგენს მათი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით განსაზღვრულ საარჩევნო უბანს (მუხლი 10; პუნქტი 2);

ვ) ცესკო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და ინტერნეტით აქვეყნებს ამომრჩეველთა დაზუსტებულ საერთო რაოდენობას შესაბამის საარჩევნო ოლქში, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებებით აქვეყნებს ამომრჩეველთა დაზუსტებულ საერთო რაოდენობას საარჩევნო ოლქსა და მის ყოველ საარჩევნო უბანში (მუხლი 91 პუნქტი 5).

**38. არა უგვიანეს 27 სექტემბრისა (4 დღ.)**

დადგენილების მიღების ბოლო ვადა (მუხლი 25 პუნქტი 3);

**39. არა უგვიანეს 28 სექტემბრისა (3 დღ.)**

ა) საარჩევნო კომისიის მდივანი რეგისტრაციაში ატარებს დამკვირვებლებს და გადასცემს მათ დამკვირვებლის მოწმობებს (მუხლი 69; პუნქტი 8).

ბ) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ განცხადების წარდგენა შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივნისათვის (მუხლი 72; პუნქტი 3);

გ) საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიისათვის კენჭისყრის დღეს სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციის გადაცემა გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის უზრუნველყოფის მიზნით (მუხლი 56; პუნქტი 2);

დ) საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ამომრჩეველთა სპეციალური სიების შედგენა (მუხლი 10; პუნქტი 8).

**40. არა უგვიანეს 29 სექტემბრისა (2 დღ.)**

ა) ცესკოს მიერ საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გადაცემა საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის (მუხლი 51; პუნქტი 9);

ბ) საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ ამომრჩეველთათვის ამომრჩევლის ბარათის გადაცემა (მუხლი 14; პუნქტი 1);

გ) საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ცესკოს მდივნისათვის დამკვირვებელთა სიის წარდგენა (მუხლი 69; პუნქტი 6);

დ) დილის 8 საათის შემდეგ იკრძალება არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება (გარდა არჩევნებში შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა) (მუხლი 73; პუნქტი 12);

ე) საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით შესაბამისი საარჩევნო კომისიისათვის განცხადებით მიმართვა (მუხლი 100; პუნქტი 1).

ვ) საარჩევნო კომისიის მდივნის მიერ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლის აკრედიტაციის საკითხის გადაწყვეტა (მუხლი 72; პუნქტი 4);

ზ) საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ამომრჩეველთა სპეციალური სიების გადაცემა შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის (მუხლი 10; პუნქტი 8).

**41. არა უგვიანეს 30 სექტემბრისა (1 დღ.)**

ა) კენჭისყრის დაწყებამდე არა უგვიანეს 12 საათისა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გადაცემა საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის (მუხლი 51; პუნქტი 9);

ბ) 24 საათის შემდეგ აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაცია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით (მუხლი 73; პუნქტი 3).

გ) 24 საათამდე საარჩევნო პროგრამებისა და სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა საარჩევნო კომისიების შენობებში (მუხლი 66; პუნქტი 2; ქვეპუნქტი "გ").

დ) 18 საათამდე, გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისიისათვის მიმართვა ამომრჩევლების მიერ (მუხლი 56; პუნქტი 2);

ე) საარჩევნო კომისიის მდივნის მიერ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების აკრედიტებული წარმომადგენლებისათვის სათანადო მოწმობის გადაცემა (მუხლი 72; პუნქტი 4);

ვ) საარჩევნო კომისიის მდივნის მიერ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენელთა აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში სათანადო განკარგულების გადაცემა (მუხლი 72; პუნქტი 4);

**42. 1 ოქტომბერი (07.00 საათიდან 20.00 საათამდე) კენჭისყრის დღე.**

24 საათამდე აკრძალულია არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება (გარდა არჩევნებში შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა) (მუხლი 73; პუნქტი 12).

**43. არა უგვიანეს 2 ოქტომბრისა (1 დღ.)**

ა) საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის N01 და N02 ფურცლებს (კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით), ბიულეტენებისა და ამომრჩეველთა სიების დალუქულ პაკეტთან ერთად, დაუყოვნებლივ გადასცემს ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც ოქმის N01 ფურცელს (კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრების ასლებით) დაუყოვნებლივ გადასცემს ცესკოს (მუხლი 60; პუნქტი 7);

ბ) ოქმის №№03-08 ფურცლები დაუყოვნებლივ გადაეცემა საარჩევნო უბანში საუკეთესო შედეგის მქონე 6 პარტიის/საარჩევნო ბლოკის/საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებს, ხოლო №09 და №10 ფურცლები - ორი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს. (თუ ამ ოქმის მიღების სურვილი მეტმა დამკვირვებელმა გამოთქვა, ორი დამკვირვებელი წილისყრით შეირჩევა.) საარჩევნო სუბიექტების სხვა წარმომადგენლებსა და დამკვირვებლებს კენჭისყრის დღის მომდევნო დღეს, თუ მოითხოვენ, საოლქო საარჩევნო კომისია გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიის N02 შემაჯამებელი ოქმის ქსეროასლს, დამოწმებულს საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით (ამ ოქმების იურიდიული ძალა ისეთივეა, როგორიც NN01-10 ოქმებისა) (მუხლი 60; პუნქტი 8);

გ) განცხადება/საჩივარი ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით შედგენილი უნდა იქნეს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების დამტკიცებამდე. აღნიშნული განცხადება/საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის მიერ რეგისტრირდება ჩანაწერთა წიგნში და საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის მომდევნო დღის 18 საათამდე, ხოლო თუ შედეგების შეჯამება ამ დროისთვის დასრულებული არ იქნება, - შემაჯამებელი ოქმის შედგენის მომდევნო დღის 18 საათამდე. განცხადება/საჩივარი ამავე ვადაში შეიძლება გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას უშუალოდ განმცხადებლის მიერ (მუხლი 61; პუნქტი 6);

**44. არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა (4 დღ.)**

ა) საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დარღვევების შესახებ საჩივრების განხილვა (მუხლი 62; პუნქტი 1);

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შეჯამება (მუხლი 63; პუნქტი 1).

გ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის N01 ფურცელი (კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით), აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებები საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმებში ცვლილებების შეტანის შესახებ (თუ ასეთი ცვლილებები იქნა შეტანილი) და ამომრჩეველთა სიები კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერებით დაუყოვნებლივ გადაეცემა ცესკოს. (მუხლი 63 პუნქტი 8; მუხლი 60 პუნქტი 9).

**45. არა უგვიანეს 9 ოქტომბრისა (8 დღ.)**

წინასწარი მონაცემების საფუძველზე გამარჯვებული საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშის წარდგენა შესაბამისი საარჩევნო კომისიისათვის (მუხლი 48; პუნქტი 6).

**46. არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა (14 დღ.)**

ა) არჩეული პარლამენტის წევრობის კანდიდატის მიერ ცესკოსთვის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობის წარდგენის ბოლო ვადა (მუხლი 1071 პუნქტი 1).

ბ) ცესკოს მიერ დანიშნული მეორე ტურის გამართვა (მუხლი 106; პუნქტი 1);

გ) I ტურის განმეორებითი კენჭისყრის ბოლო ვადა (მუხლი 105; პუნქტი 15).

**47. არა უგვიანეს 19 ოქტომბრისა (18 დღ.)**

ა) საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების დამტკიცება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ

(მუხლი 29 პუნქტი 1 ქვეპუნქტი "პ"; მუხლი 64, პუნქტი 1; მუხლი 105; პუნქტი 1).

**48. არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა (19 დღ.)**

ცესკო პრესას და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს გადასცემს ცნობას არჩევნების საბოლოო შედეგების შესახებ (მუხლი 64; პუნქტი 7).

**49. არა უგვიანეს 24 ოქტომბრისა (23 დღ.)**

ცესკოს მიერ პარლამენტის არჩეული წევრების რეგისტრაციაში გატარება და საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ დროებითი მოწმობის გადაცემა (მუხლი 107).

**50. არა უგვიანეს 29 ოქტომბრისა (28 დღ.)**

II ტურის განმეორებითი კენჭისყრის ბოლო ვადა (მუხლი 105; პუნქტი 15).

**51. არა უგვიანეს 31 ოქტომბრისა (30 დღე)**

ა) საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ყოველგვარი ანგარიშსწორების შეწყვეტა ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან (მუხლი 45; პუნქტი 2);

ბ) შესაბამისი საარჩევნო კომისიისათვის განცხადებით მიმართვა, საარჩევნო სუბიექტის მიერ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 76-ე მუხლის დებულებათა დარღვევის თაობაზე (მუხლი 76; პუნქტი 5).

**52. არა უგვიანეს 2 ნოემბრისა (32 დღ.)**

ცესკოს მიერ პარლამენტისათვის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობის წარდგენა (მუხლი 1071; პუნქტი 3).

**53. არა უგვიანეს 4 ნოემბრისა (34 დღ.)**

ა) საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა (მუხლი 75; პუნქტი 7).

**54. არა უგვიანეს 8 ნოემბრისა (38 დღ.)**

საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია დახუროს საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიში (მუხლი 48; პუნქტი 9).

**55. არა უგვიანეს 10 ნოემბრისა (40 დღე)**

საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ თავის ანგარიშზე არსებული ნაშთის ჩარიცხვა ცესკოს ანგარიშზე (მუხლი 45; პუნქტი 2).

**56. არა უგვიანეს 12 ნოემბრისა (42 დღე)**

ა) ცესკოს მიერ დანიშნული მეორე ტურის გამართვის ბოლო ვადა (მუხლი 106; პუნქტი 1);

**57. არა უგვიანეს 24 ნოემბრისა (54 დღე)**

საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საფინანსო ანგარიშის წარდგენა ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის (მუხლი 45; პუნქტი 2).

**58. არა უგვიანეს 19 დეკემბრისა (79 დღ.)**

ცესკოს მიერ საქართველოს პარლამენტისათვის არჩევნების შესახებ ანგარიშის წარდგენა (მუხლი 17; პუნქტი 6).

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქუჩა N 1ა) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე - გია ქავთარაძე**

**კომისიის მდივანი - გურამ ჩალაგაშვილი**

2005 წლის 27 ივლისი

## საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

### საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება N18/2005

**საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების 2005 წელს N5 ისნისა და N82 შუახევის საარჩევნო ოლქებში ჩასატარებელი შუალედური არჩევნების დანიშვნის შესახებ**

საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 13 მაისის №1431-Іს დადგენილების, საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 10 აგვისტოს რიგგარეშე სესიის სხდომის ოქმის, საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 29-ე მუხლის პირველი პუნქტის "მ" ქვეპუნქტისა და 106-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1**. №5 ისნისა და №82 შუახევის საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები დაინიშნოს 2005 წლის პირველ ოქტომბერს.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქუჩა N 1ა) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე - გია ქავთარაძე**
**კომისიის მდივანი - გურამ ჩალაგაშვილი**
2005 წლის 27 ივლისი

## საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

### საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება N19/2005

**საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების 2005 წელს N57 ტყიბულის, N79 ბათუმისა და N81 ქობულეთის საარჩევნო ოლქებში ჩასატარებელი ხელახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 29-ე მუხლის პირველი პუნქტის "მ" ქვეპუნქტისა და 106-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** №57 ტყიბულის, №79 ბათუმისა და №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი საქართველოს პარლამენტის ხელახალი არჩევნები დაინიშნოს 2005 წლის პირველ ოქტომბერს.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქუჩა # 1ა) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე - გია ქავთარაძე**
**კომისიის მდივანი - გურამ ჩალაგაშვილი**
2005 წლის 27 ივლისი

## ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 28 მარტის პროპორციული სისტემით ხელახალი არჩევნების მდგომარეობით:

#5 ისნის საარჩევნო ოლქი - 57 278 ამომრჩეველი
#57 ტყიბულის საარჩევნო ოლქი - 18 335 ამომრჩეველი
#79 ბათუმის საარჩევნო ოლქი - 47 738 ამომრჩეველი
#81 ქობულეთის საარჩევნო ოლქი - 42 011 ამომრჩეველი
#82 შუახევის საარჩევნო ოლქი - 10 717 ამომრჩეველი

**ცენტრალური საარჩევნო კომისია**

**2005 წლის 22 ივლისის N165 გაზეთში "24 საათი" სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ გამოცხადებულ განცხადებაში "გლობალური ფონდის" პროექტის ფარგლებში კომპიუტერული ტექნიკისა და ინვენტარის შესყიდვის ტენდერის ჩატარების შესახებ, შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება და დამატება:**

კომპიუტერული ტექნიკისა და ინვენტარის შესყიდვის ტენდერის განცხადების პირველ პუნქტში (შესყიდვის ობიექტი) უნდა იყოს:

| ლოტის № | შესყიდვის ობიექტის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| I ლოტი | კომპიუტერი | 8 ცალი |
| II ლოტი | პორტატული კომპიუტერი (ლეპტოპი) | 14 ცალი |
| III ლოტი | უწყვეტი კვების წყარო (UPS) | 8 ცალი |
| IV ლოტი | უწყვეტი კვების წყარო (მაღალი სიმძლავრის, არანაკლებ 4კვტ. UPS) | 1 ცალი |
| V ლოტი | პრინტერი | 19 ცალი |
| VI ლოტი | სკანერი | 4 ცალი |
| VII ლოტი | შავთეთრი ლაზერული პრინტერი /სკანერი /კოპიერი (კომბინირებული) | 1 ცალი |
| VIII ლოტი | „USB Flash drive" (მეხსიერება) | 7 ცალი |
| IX ლოტი | ფაქსი | 2 ცალი |
| X ლოტი | „მყარი დისკი" (მეხსიერება, HDD) | 1 ცალი |
| XI ლოტი | ციფრული ვიდეოკამერა | 1 ცალი |
| XII ლოტი | ასლის გადამღები მანქანა | 1 ცალი |

**2005 წლის 22 ივლისის N165 გაზეთში "24 საათი" სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ გამოცხადებულ განცხადებაში "გლობალური ფონდის" პროექტის ფარგლებში საოფისე ავეჯის შესყიდვის ტენდერის ჩატარების შესახებ, შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება და დამატება:**

საოფისე ავეჯის შესყიდვის ტენდერის განცხადების პირველ პუნქტში (შესყიდვის ობიექტი) უნდა იყოს:

| № | საქონლის დასახელება | საქონლის მოკლე მახასიათებლები | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|---|
| 1 | კომპიუტერის მაგიდა | უჯრებით და საკეტით | 2 |
| 2 | საოფისე მაგიდა | დამზადებული ლამინატისაგან | 10 |
| 3 | პატარა მაგიდა | დამზადებული ლამინატისაგან (ჟურნალის მაგიდა) | 2 |
| 4 | წიგნების კარადა | შუშებით, დამზადებული ლამინატისაგან | 14 |
| 5 | ტანსაცმლის კარადა | დამზადებული ლამინატისაგან | 6 |
| 6 | წიგნების თარო | დამზადებული ლამინატისაგან | 4 |
| 7 | ტანსაცმლის საკიდი | დასაკიდი | 6 |
| 8 | სკამი საოფისე | მბრუნავი, ამორტიზატორით, გორგოლაჭებზე | 12 |
| 9 | სკამი საოფისე | ხის ან მეტალის, რბილი საჯდომით, ქსოვილის ზედაპირით | 42 |
| 10 | სამეული | ხელოვნური ტყავის ან ნაჭრის | 2 |
| 11 | სავარძელი | ხელოვნური ტყავის ან ნაჭრის | 4 |
| 12 | საოფისე მაგიდა | დამზადებული ლამინატისაგან (სათათბირო მაგიდა, არანაკლებ 10 ადგილიანი) | 1 |

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს ავტოსატრანსპორტო საშუალებების განვადებით შესყიდვაზე

თბილისი, შიო ჩიტაძის ქუჩა N4

შესყიდვის ობიექტია:

ვაზ 2107-ის მსგავსი 7(შვიდი) ცალი მსუბუქი ავტომობილი, ძრავი 1400-1600 კუბური სანტიმეტრი, ხუთ სიჩქარიანი, მექანიკური გადაცემათა კოლოფი

ავტომანქანების შესყიდვა განხორციელდება განვადებით. განვადების სასურველი ვადაა 2 წელი.

ავტომანქანების შემსყიდველისათვის მიწოდების სასურველი ვადაა - 30 დღე ხელშეკრულების დადებიდან.

დაინტერესებულმა პირებმა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის რეზიდენტებს შეუძლიათ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოადგინონ უცხო ენაზეც, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ქართულ ენაზე ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანი) 2005 წლის 17 აგვისტოს 10 საათიდან 18 აგვისტოს 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი 0118, შ. ჩიტაძის 4, ოთახი 227, ტელ/ფაქსი: 28 46 27

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიულ პირთათვის:**

ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

- ინფორმაციას იურიდიული პირის სტატუსის შესახებ. რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტიურ ადგილს.

**ფიზიკური პირებისათვის;**

- ცნობას ქმედითუნარიანობის შესახებ;

ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე და პრეტენდენტებს გადაეცემათ 2005 წლის 23 აგვისტოდან 24 აგვისტოს 18 საათამდე, 500 ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდგომ, მისამართზე: თბილისი, შ. ჩიტაძის 4, ოთახი 227.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, შემდეგ მისამართზე: თბილისი. შიო ჩიტაძის ქ. N 4, ტელ/ფაქსი: 28-46-27.

სატენდერო კომისია
2 აგვისტო 2005

## საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

### მოწვევა საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

სტრუქტურულ გარდაქმნათა ხელშეწყობის პროექტი,
სამედიცინო და საოფისე ავეჯის შესყიდვა ტუბერკულოზის საწინააღმრდეგო საავადმყოფოებისათვის
კრედიტის N 3264 GE

1. წინამდებარე მოწვევა ტენდერზე ქვეყნდება ამ პროექტისთვის გაზეთ "Development Business"-ში (1999 წლის 16 ივნისის N 512, განახლებული 2005 წლის 16 იანვარს N646) შესყიდვებზე გამოქვეყნებული ზოგადი განაცხადის საფუძველზე.

2. საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციიდან (IDA) სტრუქტურულ გარდაქმნათა ხელშეწყობის (SRS) პროექტის დასაფინანსებლად. ამ კრედიტის ნაწილი გამოყენებულ იქნება ტუბერკულოზის საწინააღმრდეგო საავადმყოფოებისთვის სამედიცინო და საოფისე ავეჯის შესაძენად. კონტრაქტის N SRS/ICB/G-05/01 და SRS/ICB/G-05/02

3. საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი იწვევს უფლებამოსილ მონაწილეებს, რათა წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები სამედიცინო და საოფისე ავეჯის მიწოდებაზე, რაც გულისხმობს სამედიცინო და/ან საოფისე ავეჯის მიწოდებას, დანიშნულების ადგილზე მიტანასა და აწყობას. ავეჯი დაჯგუფებულია ორ ლოტში და განკუთვნილია ტუბერკულოზის საწინააღმრდეგო 3 სავადყოფოს (თბილისი, ქუთაისი და აბასთუმანი) აღსაჭურვად. სატენდერო წინადადებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც ერთ ისევე ორივე ლოტზე. შეფასება მოხდება ლოტების მიხედვით.

ლოტი 1 სამედიცინო ავეჯი
ლოტი 2 საოფისე ავეჯი

4. ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის (ტენდერის) პროცედურების შესაბამისად, მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოს *"შესყიდვები IBRD სესხებითა და IDA კრედიტებით, გამოცემული 1995 წლის იანვარში, გადასინჯული 1996 წლის იანვარსა და აგვისტოში, 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში."* შესაბამისად. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს ამ სახელმძღვანელოში განმარტებული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

5. დაინტერესებულ უფლობემოსილ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და სატენდერო დუკუმენტაციის გაცნობა შეუძლიათ 10:00-დან 17:30 საათამდე შაბთ-კვირის გარდა განცხადების მე-7-ე პუნქტში მითითებულ მისამართზე.

6. სატენდერო დოკუმეტაციის კომპლექტის (ინგლისურ ენაზე) შეძენა შესაძლებელია წერილობითი მოთხოვნისა და 50 აშშ დოლარის (მონაწილეთათვის უცხოეთიდან) ან 92 ლარის (მონაწილეთათვის საქართველოდან) გადახდის შემდეგ. გადახდილი თანხა მონაწილეებს არ დაუბრუნდებათ. თანხა გადარიცხულ უნდა იქნას საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის ანგარიშზე.

| სავალუტო ანგარიში (USD) | ლარის ანგარიში |
|---|---|
| Intermediary Bank: DRESDEN BANK AG, Frankfurt 2 main, Germany.<br>Bank Beneficiary: Bank Republic Tbilisi, Georgia<br>SWIFT: REPLGE22<br>ACC# 499/08 125 004 00/400<br>Beneficiary: Georgia Health and Social Projects Implementation Center<br>Account # 23418000189 | სს ბანკი რესპუბლიკა 220101757<br>მიმღები: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი<br>ანგარიში № 23408000189 |

მონაწილეებს საქართველოდან და მის ფარგლებს გარედან სატენდერო დოკუმენტაცია გაეგზავნებათ კურიერული ფოსტით ზემოთხსენებული პროცედურების გავლის შემდეგ მათსავე ხარჯზე.

7. სატენდერო წინადადებები წარმოდგენილ უნდა იქნას დალუქული კონვერტებით ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2005 წლის 13 სექტემბრის 16:00 საათისა. სატენდერო დოკუმენტაციას უნდა ახლდეს საკონკურსო საბანკო გარანტია ა) პირველი ლოტისათვის - 6000 (ექვსი ათასი) აშშ დოლარი ან მისი ექვივალენტი თანხა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში საბანკო გარანტიის აღების დღისათვის დაფიქსირებული ეროვნული ბანკის სავალუტო კურსის მიხედვით. Bბ) მეორე ლოტისათვის 2000 (ორი ათასი) აშშ დოლარი ან მისი ექვივალენტი თანხა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში საბანკო გარანტიის აღების დღისათვის დაფიქსირებული ეროვნული ბანკის სავალუტო კურსის მიხედვით. დაგვიანებით შემოსული წინადადებები მიიღება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2005 წლის 13 სექტემბერს 16.00 საათზე ტენდერის მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით თუ ისინი ამის სურვილს გამოთქვამენ.

მისამართი:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი.

საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი
ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.
ქ. თბილისი 0160, საქართველო.
ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 33-18-39, 33-19-39, 33-19-34
ელ-ფოსტა: info@hpic.ge

ქართულ და ინგლისურ განცხადებებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ვარიანტს.

## Georgia Health and Social Projects Implementation Center Invitation for Bids

### Structural Reform Support (SRS) Project

Medical and Office Furniture for TB Hospitals
Credit No: 3264 GE

1. This invitation for bids follows the General Procurement Notice for this Project that appeared in Development Business, issue no. 512 of 16 June 1999, most recently updated on 16 January 2005, Issue No. 646

2. Georgia has received a credit from the International Development Association toward the cost of Structural Reform Support Project and intends to apply part of the proceeds of this credit to payments under two contracts for Supply of Medical and Office Furniture for TB Hospitals. Contracts No: SRS/ICB/G-05/01 and SRS/ICB/G-05/02

3. Georgia Health and Social Projects' Implementation Center (GHSPIC) now invites sealed bids from eligible bidders for supply, distribution and assembly of items of medical and office furniture grouped into two lots further described below. These items are required for use in three TB hospitals located in i) Tbilisi, ii) Kutaisi and iii) Abastumani. Bids may be submitted for any one or both lots and evaluation will be done lot-by-lot.

Lot 1: Medical Furniture
Lot 2: Office Furniture

4. Bidding will be conducted through the international competitive bidding procedures specified in the World Bank's *Guidelines: Procurement under IBRD Loans and IDA Credits January 1995 (Revised January and August 1996, September 1997 and January 1999)*, and is open to all bidders from eligible source countries as defined in the Guidelines.

5. Interested eligible bidders may obtain further information from GHSPIC and inspect the bidding documents at the address given below from 10:00 hours to 17:30 hours.

6. A complete set of bidding documents in English may be purchased by interested bidders on the submission of a written application sent to the address below and upon payment of a nonrefundable fee of USD 50 by foreign bidders or GEL 92 by Georgian bidders. The method of payment will be by bank transfer into the bank account of GHSPIC:

| FOR USD | FOR GEL |
|---|---|
| Intermediary Bank: DRESDEN BANK AG, Frankfurt 2 main, Germany.<br>Bank Beneficiary: Bank Republic Tbilisi, Georgia<br>SWIFT: REPLGE22<br>ACC# 499/08 125 004 00/400<br>Beneficiary: Georgia Health and Social Projects Implementation Center<br>Account # 23418000189 | JSC Bank Republic 220101757<br>Beneficiary: Georgia Health and Social Projects Implementation Center<br>Account # 23408000189 |

Upon request, the document will be sent by courier service at the recipient's expense.

7. Bids must be delivered to the address below not later than 13 September 2005 at 16.00 hours. All bids must be accompanied by a bid security in the amount of USD 6,000 (six thousand US dollars) or equivalent for lot 1 and USD 2,000 (two thousand US dollars) or equivalent for lot 2. Late bids will be rejected. Bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend at the address below at 13 September 2005 at 16:00 hours.

Georgia Health and Social Projects' Implementation Center.
Contact Person: Eka Ekizashvili, Office manager
Address: 23 Al. Kazbegi Ave, Building 2, 5th floor, Tbilisi -0160, Georgia.
Tel/Fax: +995-32-331-839
+995-32-331-939;
+995-32-331-934
For fax: extension 119
E-Mail: info@hpic.ge

# ის, რაც ემინემსა და მობის შორის ხდება



მობის ახალი ალბომი – "ჰოტ-ელ" მუსიკოსის სამშობლოში უკვე ძალიან პოპულარულია. ახლა მობი აზიის დაპყრობას აპირებს და ტურნეს სწორედ ამ მინით აწყობს. ჰონგ კონგში შეჩერებისას კი მან ერთი საინტერესო მოსაზრებაც გაუზიარა ჟურნალისტებს: წარსულში მომხდარი შელაპარაკების შემდეგ, როგორც ირკვევა, მასსა და ემინემს შორის ურთიერთობა დათბა. მობი აცხადებს, რომ ემინემისადმი პატივისცემით განეწყო მას შემდეგ, რაც რეპერმა თავის ბოლო ალბომში პრეზიდენტი ბუში და ამერიკის მთავრობის მიერ ერაყში წამოწყებული ომი გააკრიტიკა. "მივხვდი, რომ სწორედ ამ მიზეზის გამო ემინემი პატივისცემას იმსახურებს", - განაცადა მან.

არადა, ყველას კარგად ახსოვს ემინემისა და მობის ხანგრძლივი ქიშპობა. მობი ღიად აცხადებდა, რომ ემინემის ტექსტებში ქალთმოძულე კაცის აგრესია შეიმჩნევა. ემინემი კი დასცინოდა მობის ელექტრონულ მუსიკას და არა მარტო პრესასთან საუბარში, არამედ სიმღერებშიც, მათ შორის პოპულარულ ვიდეოში Without Me.

დღეს კი მობი აცხადებს: "გულწრფელად უნდა ვაღიარო, ემინემი შოუბიზნესიდან რომ წავიდეს, მსოფლიო მუსიკის სცენა დაცარიელდება. ის ძალიან ქარიზმატული საზოგადო ფიგურაა". ელექტრონული მუსიკის ნოვატორი მობი იქვე დასძენს, რომ ემინემის ტექსტებში დღემდე ბევრი რამ არ მოსწონს: "მაგრამ ფაქტია, ის ნიჭიერია. ჯობია, გვყავდეს ისეთი საზოგადო იმიჯის მქონე მომღერლები, როგორიც ემინემია, რადგან ისინი სიტუაციას ახალისებენ".

მობის არც იმაზე აქვს პრეტენზია, ემინემმა ის თავის ვიდეოში გააკრიტიკა. პირიქით, ეს მობიმ საკუთარ თავს რეკლამად ჩაუთვალა:

"როცა მსოფლიოში ყველაზე წარმატებული მუსიკოსი თავის ვიდეოში შენნაირად იცვამს და შენზე მღერის – ეს რეკლამა და მეტი არაფერი. გულწრფელად ვამბობ, ასეთი ეფექტური რეკლამა არასდროს მქონია".

რაც შეეხება ემინემის ბოლო ალბომს, მობი გულისხმობდა ამ ალბომში შესულ სიმღერას Mosh. ემინემი მღერის: "დაე, პრეზიდენტმა პასუხი აგოს ანარქიაზე. დაე, თვითონ იბრძოლოს თავის ომში". – მობისაც სწორედ ეს პირდაპირობა მოეწონა.

# ციყვები და შოკოლადები

როალდ დალის "ჩარლი და შოკოლადის ქარხანა" ისეთ კარგ ფილმად გარდაიქმნა, რომ ლაპარაკი მის შესახებ დღემდე არ წყდება. ახლახან კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი გაირკვა ფილმის რეჟისორის შესახებ – ცნობილი სცენის – "თხილების ოთახის" გადაღებისას ტიმ ბარტონმა არ ისურვა არანაირი ტექნიკურ-კომპიუტერული ტრიუკით გამოძრომა (რაც ძალიან იოლი იქნებოდა) და ფილმში რეალურად ათამაში 40 გაწვრთნილი ციყვი.

პატარა მღრღნელები საგანგებოდ გადაღებებისთვის გაწვრთნეს, ყველაფერი მაქსიმალურად რეალისტური უნდა გამოსულიყო და იმიტომ – ასეთი იყო ჩანაფიქრი. მწვრთნელების გარჯამ გაჭრა – ორმოცივე ციყვმა ისეთი პროფესიონალიზმით დაიწყო თხილის გატეხვა და დახარისხება კონვეიერის ლენტზე, რომ ქარხნის ნებისმიერ მუშას შეშურდებოდა.

ციყვები გადაღებებზეც მშვენივრად იქცეოდნენ. ისხდნენ სკამებზე და გულმოდგინედ ამოწმებდნენ თხილის ვარგისიანობას. მათი ნაწილი შინაურ გარემოში იყო გაზრდილი და ჯილდოს სახით ბოთლ რძეს ითხოვდნენ, დანარჩენები სპეციალური თავშესაფრებიდან მოიყვანეს. ციყვების აღზრდაზე უელსელი სტივ ვედმორი მუშაობდა. რვა კვირის შემდეგ ყველაფერი აეწყო, თუმცა, ერთი პატარა ინციდენტი მაინც მოხდა, რასაც მწვრთნელი ასე ხსნის:

"ზოგი წყნარია, ზოგი აგრესიული. ადამიანებთან კონტაქტი არ უყვართ, იკბინებიან" – და დასძენს, რომ კინოკომპანია "უორნერ ბროსმა" მას სიტყვა ჩამოართვა, რომ უფრო დეტალურ ინფორმაციას არ გასცემდა.

"წვრთნის დროს ცდილობ, თვითონ განსაზღვრო მათი მოქმედება. მაგალითად, თუ გსურს, რომ ა წერტილიდან ბ-მდე მიირბინონ, ბოლო პუნქტზე დებ პატარა ყუთს, სადაც მას ჯილდოს სახით თხილს ახვედრებ. შემდეგ თუ მანძილის გაზრდა გსურს, ყუთს მდებარეობას უცვლი".

საბოლოო ჯამში, ყველაფერი კეთილად დასრულდა. ციყვებმა ფილმზე ათი თვე იმუშავეს, ისევე როგორც ჯონი დეპმა და დანარჩენმა მსახიობებმა. იმედია, ამ ფილმს ქართული კინოთეატრებიც უჩვენებენ პატარებს და მათ მშობლებს, რომელთაც არანაკლებ უყვართ როალდ დალის მოთხრობები. ჩვენც მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვეძლება ჯონი დეპის სამსახიობო ნიჭში კიდევ ერთხელ დარწმუნებაც და თხილის დახარისხებაში გაწვრთნილი ციყვების ხილვაც.

## ფოსტა

# ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

## საინგილოში მცხოვრებ ქართველთა თხოვნა

ჩვენი თეატრი, რომელიც 1981 წლიდან არსებობს, რომელსაც 2005 წლის იანვარში მიენიჭა სახელმწიფო თეატრის სტატუსი, დღეს, ფაქტობრივად შეჩერებულია, რადგან აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობამ პირადად ალიგისმედ ლალაევმა, ჩვენი სურვილის საწინააღმდეგოდ დაგვინიშნა ისეთი პირები თეატრის ხელმძღვანელებად, რომლებიც ხალხში ცნობილი არიან, როგორც დამსმენები და პროვოკატორები. ამის გამო, 2005 წლის 7 ივლისიდან ავჭედეთ თეატრის კარები და მოვაწყვეთ საპროტესტო აქციები და მიტინგები, რომლებშიც მთელი სოფელი მონაწილეობს. მოვითხოვთ ამ პიროვნებების გადაყენებას, მაგრამ უშედეგოდ. ამის გამო, ბოლო პერიოდში, სოფელ ალიბეგლოში მომრავლდა სამოქალაქო ფორმაში გადაცმული კახის უშიშროების თანამშრომლები და ხალხს დაპატიმრებით ემუქრებიან, აწყობენ პროვოკაციებს, ძაბავენ სიტუაციას, გვეშინია, ეს ყველაფერი ხელჩართულ დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს. ამიტომ სასწრაფოდ ვითხოვთ აზერბაიჯანის კულტურის მინისტრთან შეხვედრას, რასაც ვერაფრით ვერ მივაღწიეთ, რათა დაუყოვნებლივ იქნეს გათავისუფლებული მის მიერ შეცდომით დანიშნული თეატრის დირექტორი ოფელია ანდრიაშვილი და სამხატვრო ხელმძღვანელი ვალიკო მადუმაშვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მიტინგებს არ შევწყვეტთ და შემოვიერთებთ მთელ ქართულ მოსახლეობას.

ვითხოვთ ასევე თბილისიდან პროფესიონალ რეჟისორს, რომელიც ერთ სპექტაკლს დაგვიდგამს, ისე როგორც ეს მოხდა თბილისის აზერბაიჯანულ სახელმწიფო თეატრში, იქ სპექტაკლი ბაქოდან მოწვეულმა რეჟისორმა დადგა.

პატივისცემით და დიდი იმედით, ალიბეგლოს ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკები.

2005 წლის 28 ივლისი

*ხინაშვილი იორამი,*
*ნერონი თოფალაშვილი,*
*შირავილი გოჩა,*
*პაპიაშვილი აიდა,*
*ბარიხაშვილი კოტე,*
*ყიყიშვილი ვატე,*
*აჭაშვილი ბესო,*
*სარდალაშვილი რაული,*
*მალიშვილი კობა,*
*შიოშვილი ლალი,*
*შიოშვილი ფირუზი,*
*ემრაშვილი შალვა,*
*ანზრიაშვილი ლაშა,*
*ბარიხაშვილი ნინო,*
*გაჯიშვილი ნათია.*


## შპს "დელტა"

(ს/კ 208215322)
აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მოგვმართოთ მის:
ვარკეთილის 3 მე-2 მიკრორაიონი კორპ. 7.
ტელ: 794 131



## ქართულ-გერმანული კოლეჯი "ალემანია" აცხადებს მოსწავლეთა და აბიტურიენტთა მიღებას 9 კლასის ბაზაზე 2005/2006 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

- თარჯიმან-რეფერენტი (გერმანული, ინგლისური, რუსული, ესპანური)
ოფის-მენეჯერი
- ტურიზმის მენეჯერი
ფოტორეპორტიორი
- ტელეოპერატორი
ინფორმატიკა
- კომპიუტერული გრაფიკა

კოლეჯში მიიღებიან არასრული და საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები. სწავლის დასრულების შემდეგ გაიცემა საშუალო პროფესიული განათლების ატესტატი.

წარჩინებული სტუდენტები გაივლიან ენის სასწავლო პრაქტიკას გერმანიასა და ესპანეთში.

ადგილების რაოდენობა შეზღუდულია.

ჩვენი მისამართია:
ა. ქუთათელაძის ქ. N5 (ოპერის უკან)
ტელ: 99-96-37, (893) 78-56-84.
ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10.00-18.00 სთ.
ელ. ფოსტა: college-allegmane@yahoo.com



## "ფონდი ინტერნიუსი" აცხადებს კონკურს

INTERNEWS

ყოველკვირეული სატელევიზიო პროგრამის "კვირის" პროდიუსერი/წამყვანისა და ჟურნალისტის თანამდებობებზე. აღნიშნული გადაცემა 90-იანი წლების ბოლოს გადიოდა ეთერში. ამჯერად მოცემულ პროექტს საერთაშორისო კვლევის და გაცვლების საბჭო (IREX) აფინანსებს.

კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

გამოცდილება ანალიტიკური ნარკვევების (ფიჩერსების) წარმოებაში

კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ რეზიუმეები "ფონდი ინტერნიუსის" ოფისში, რეზიუმეების შემოტანის ბოლო ვადაა **2005 წლის 5 სექტემბერი**. ჩვენი მისამართია: 14/22 პაოლო იაშვილის ქუჩა, თბილისი, საქართველო.












## ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხატო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------------------------------------

მისამართი ----------------------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------------------------------------

დაბადების თარიღი ----------------------------------------

სკოლა ----------------------------------------

კლასი ----------------------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------------------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------------------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------------------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა

---

სახელი ______ მისამართი ______
გვარი ______
ასაკი ______ საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ______
სიმაღლე ______

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაოჯახებული
დაუოჯახებელი
განქორწინებული
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (ზუსტად აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (ზუსტად აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ ინტელექტუალურ კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ შეაფასებთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ხელმოწერა ______ თარიღი ______

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

თქვენი ფოტოსურათი